საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 163 (965)
სამშაბათი, 13 სექტემბერი, 1994 წელი.
ფასი 70000 კუპონი

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ინგლისელი პარლამენტარი

10 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი, კონსერვატიული პარტიისაგან, პარლამენტის გარემოს საკითხთა კომიტეტის წევრი ჰაროლდ ელეტსონი — ბიზნეს-კონსულტანტი, რომელიც აღმოსავლეთთან დასავლეთის ვაჭრობაზე სპეციალიზდება. მისი ინტერესები მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებს, თავდაცვას, ვაჭრობას, ინდუსტრიას, ტურიზმსა და გარემოს დაცვას. ბატონი ელეტსონი ხშირად ჩამოდის საქართველოში და მისი აზრით, აქ უკვე შეიმჩნევა სტაბილიზაციის აშკარა ნიშნები, რაც, უწინარესად, ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებასა და განვითარებას. მან იმედი გამოთქვა, რომ ბევრი ბრიტანელი ბიზნესმენი დაინტერესდება საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებით. ეს შეეხება, კერძოდ, ნავთობის კომპანიებს, რომელთა ინტერესი კავკასიის რეგიონისადმი უაღრესად დიდია. 1995 წლის დამლევისათვის გათვალისწინებულია, დაიწყოს ინგლის-საქართველოს ერთობლივი გეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები შავი ზღვის შელფში. როგორც სტუმარმა თქვა, საქართველოს პარლამენტის წევრებთან მისი შეხვედრების შემდეგ დაისახა ორი ქვეყნის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის ახალი პერსპექტივები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა, საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების გამო.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი, საგარეო-ეკონომიკურ საკითხებში გიზო გელეიშვილი და საქართველო-ინგლისის ერთობლივი საწარმოს გენერალური დირექტორის მოადგილე მარტინ ჰებერი.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ქეთევან ბატონიშვილს და პრინც სიქსტ ანრი ბურბონს

12 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო ბატონიშვილი ქეთევანი და პრინცი სიქსტ ანრი ბურბონი.

მათ სახელმწიფოს მეთაურს გაუზიარეს სამეგრელოში, ქუთაისსა და აფხაზეთში მოგზაურობისა და ამ მოგზაურობის დროს შემდგარი შეხვედრების შთაბეჭდილებები.

პრინცმა სიქსტ ანრი ბურბონმა აღნიშნა, რომ მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება, მიზანი საქართველოს სახელის გატანა, მისი პოპულარიზაციაა. — ვეცდები, ვიყო, საქართველოს ადვოკატი, — დასძინა მან საუბრის ბოლოს.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელსაც ისინი საქართველოს კეთილდღეობისათვის სწევენ, რაც მათ მრავალმხრივ საქმიანობაში გამოიხატება.

ბატონიშვილი ქეთევანი და პრინცი სიქსტ ანრი ბურბონი კვლავ ეწვევიან საქართველოს ოქტომბერში ყოველთა ქართველთა საერთაშორისო კონგრესზე.

პარლამენტი არ უნდა დაიშალოს, მან ბოლომდე უნდა მოიხადოს ვალი ქვეყნის წინაშე

— განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, 12 სექტემბერს — საშემოდგომო სესიის გახსნის წინადღეს გამართულ პარლამენტის უმრავლესობის შეკრებაზე. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ქვეყანაში უკვე პრაქტიკულად დაიწყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ბრძანებულებები გამოვიდა პრივატიზაციის პროცესებთან დაკავშირებით და ხორციელდება საბანკო სისტემის რეორგანიზაცია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისა და სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით. მზადდება და მალე გამოიცემა ბრძანებულებები საბაზო დარგების აქციონირების შესახებ. სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა პურის ფასის მოსალოდნელ ზრდასთან დაკავშირებით, და განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტი 15 სექტემბრისათვის დახვეწს ამ საკითხს.

როგორც საქინფორმისათვის გახდა ცნობილი, 13 სექტემბრის პარლამენტის სხდომას გახსნის ბატონი ედუარდ შევარდნაძე. იგი შეაჯამებს(?) განვლილი ორი თვის მანძილზე არდადეგების პერიოდში გაწეულ მუშაობას, პარლამენტს გააცნობს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. იმავე სხდომაზე პარლამენტი მოისმენს მინისტრთა კაბინეტის მოხსენებას ფასების ლიბერალიზაციის შესახებ.

შეხვედრა ფრაქცია „ლიბერალების" წარმომადგენლებთან

9 სექტემბერს, პარლამენტის თავმჯდომარე, — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საპარლამენტო ფრაქცია „ლიბერალების" წარმომადგენლებს. სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით ილაპარაკა იმ სამართლებრივი ვაკუუმის არსებობის შესახებ, რომლის პირობებში ხელისუფლებას უხდება ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და თქვა, რომ დღეს ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა ქვეყნისათვის აუცილებელი კანონების მიღებას უკავშირდება. ფრაქციის წარმომადგენლებმა ლანა ღოღობერიძემ, გია ყორღოლიანმა, მანანა გიგინეიშვილმა, ადა მარშანიამ და სხვებმა ყურადღება მიაპყრეს აფხაზეთის საკითხს, ისაუბრეს პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრობლემებზე.

სახელმწიფოს მეთაურმა პასუხი გასცა პარლამენტართა შეკითხვებს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი — საქინფორმი.

ოთარ ფაცაცია შეხვდა ვიქტორ ჩერნომირდინს

მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია შეხვდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ჩერნომირდინს. შეხვედრამ უაღრესად გულთბილ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. საუბრის ძირითადი თემა იყო საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისა და რუსეთის ეკონომიკასთან ურთიერთობის დამყარების გზების ძიება. ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა განიხილეს აგრეთვე აფხაზეთის პრობლემები, საქართველოსათვის გამოყოფილი კრედიტების უმოკლეს ვადებში მიღების საკითხები. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ბატონ ოთარ ფაცაციას აღუთქვა, რომ წამოჭრილი საკითხები მაქსიმალურად მოკლე ვადებში გადაწყდება.

12 სექტემბერს, ბატონი ოთარ ფაცაცია შეხვდა ფედერალური საკონტრაქტო კორპორაციის გენერალურ დირექტორს სტანისლავ ანისიმოვს. პრემიერ-მინისტრთან ერთად იყო რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრის მოადგილე ვილი ალავიძე.

განიხილეს რუსეთ-საქართველოს სამთავრობათშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები, რომელთა რეალიზაცია არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ჩეჩნეთში შექმნილი სიტუაციის გამო, სარკინიგზო მიმოსვლის დროებით შეწყვეტასთან დაკავშირებით, შეთანხმდნენ ტვირთის საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით მიწოდებაზე.

ბატონმა სტანისლავ ანისიმოვმა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს განუცხადა, რომ მას კარგად ესმის, თუ რა პრობლემები შეექმნა საქართველოს მრეწველობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის რუსეთისათვის მიწოდების საქმეში და ამიტომ მზად არის, წინასწარ გამოგვიგზავნოს მილიარდი რუბლის ღირებულების საქონელი კრედიტის ანგარიშში, რომლის ანაზღაურებაც მომავალში მოხდება.

შეთანხმდნენ იმაზეც, რომ „როსკონტრაქტის" ხელმძღვანელობა ოპერატიულად განიხილავს რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმოების შექმნისა და მათი ნედლეულით უზრუნველყოფის საკითხს.

განიხილეს სხვა კონკრეტული საკითხებიც.

რუსეთში საქართველოს საელჩოს პრესსამსახური — საქინფორმი.

სიახლე პარლამენტის მუშაობაში

12 სექტემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს საშემოდგომო სესიის პირველი კვირის სხდომების დღის წესრიგი.

გამოცხადდა, რომ პარლამენტის მუშაობაში მოსალოდნელია სიახლე. ამიერიდან, პლენარული სხდომები გაიმართება კვირაში სამ დღეს — სამშაბათი და ხუთშაბათი დაეთმობა კანონშემოქმედებით მუშაობას, ოთხშაბათს განიხილავენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

პირველივე კვირის სამუშაო გეგმა ერთობ შემჭიდროებულია. ინფორმაციას მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების, ფასების მოსალოდნელი ზრდისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის შესახებ გააკეთებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე თემურ ბასილია, განიხილავენ კანონპროექტებს პარლამენტის რეგლამენტის, ენერგეტიკის შესახებ და სხვა. დღის წესრიგშია აგრეთვე, გენერალური პროკურორის წარდგინებები პარლამენტის წევრების თენგიზ ყორყოლიანისა და ირაკლი წერეთლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, კოლეგიის სხდომაზე გამართული კამათი იმის წინაპირობაა, რომ პარლამენტის სხდომაზე მისი განხილვა უკომპრომისო იქნება.

„ახლა ჩვენ ეკონომიკური რეფორმების ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო ეტაპზე ვართ"

ედუარდ შევარდნაძის 12 სექტემბრის რადიოინტერვიუ

— **ისე** მოხდა, რომ თქვენი პირველი რადიოინტერვიუდან მოყოლებული, გასული კვირის მოვლენებზე საუბარი, პრინციპში, ყოველთვის აფხაზეთის თემით იწყება. გასულ კვირას გაიმართა ოთხმხრივი მოლაპარაკება ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებზე. აფხაზეთის გარკვეულ რაიონებში გრძელდება ანტიქართული მიტინგები, რუხში ლტოლვილთა შიმშილობის აქცია დღემდე მიმდინარეობს. რუსეთის მხარე კი ლტოლვილთა დაბრუნების სავარაუდო ვადად, როგორც ამას წინათ გამოცხადდა, ოქტომბრის დამლევს ასახელებს. დაახლოებით ორ კვირაში გაეროს გენერალური ასამბლეის 49-ე სესია გაიმართება, სადაც თქვენც ბრძანდებით მიწვეული. ჩვენ გვახსოვს თქვენი ორი წლის წინანდელი სიტყვა გაეროს გენერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე, მაშინ გამოკვეთილად პირველად ითქვა აგრესიული სეპარატიზმის საფრთხეზე. რას ეტყვის ამჯერად გაეროს სახელმწიფოს მეთაური? — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** განაცხადა:

— **ჩვენი დიალოგი, როგორც წესი, აფხაზეთის საკითხით რომ იწყება, სწორს ბრძანებთ. ვოცნებობ და დარწმუნებული ვარ, რომ მოვა ის დრო, როცა პრობლემა მოგვარდება და ყოველთვის ამით აღარ დავიწყებთ. შეიძლება დღეს-ხვალ არ მოხდეს, მაგრამ მაინც მჯერა, რომ ეს საკითხი სამართლიანად მოგვარდება, ქართველთა და აფხაზთა ინტერესებისა და ყველა ხალხის ინტერესების გათვალისწინებით.**

აფხაზეთის საკითხზე ახლა მოსკოვში მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკება პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას, თავდაცვის მინისტრის ვარდენ ნადიბაიძისა და ჩვენი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა მონაწილეობით. მოლაპარაკება და შეხვედრები დღესაც გრძელდება. შედეგების კომენტარებისაგან ამჯერად თავს შევიკავებ, რადგან ამ დიალოგის ყველა დეტალი ცნობილი არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ თვის მესამე დეკადაში მუშაობას იწყებს გაეროს გენერალური ასამბლეა, ვფიქრობ, სექტემბერში უნდა გაირკვეს, რა მოხდება აფხაზეთში სამშვიდობო მისიის განხორციელების თვალსაზრისით. მსოფლიო საზოგადოებრიობა ელოდება რას იტყვის რუსეთის დელეგაცია. ალბათ, ასევე ელოდებიან, თუ რას იტყვის საქართველოს დელეგაცია. ვფიქრობ, უშიშროების საბჭოს წევრებიც, რომლებმაც ცხრა რეზოლუცია მიიღეს ამ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეულ ინტერესს გამოიჩენენ — რა ეტაპზე ვიმყოფებით და რას იძლევა რეალურად, პრაქტიკულად ის სამშვიდობო მისია, რომლის განხორციელება იკისრეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ და რუსეთმა, რა თქმა უნდა, ჩვენი თხოვნითა და თანხმობით.

ჩემი აზრით, სექტემბერი უფრო დამაიმედებელი უნდა იყოს, ვიდრე აგვისტო. აგვისტოში ბევრი რამ იყო გასაკეთებელი და ბევრიც გაკეთდა: ჯარის სამშვიდობო მისიით გადმოყვანა ურალიდან, რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან იოლი არ იყო. ეს პროცესი თითქმის დამთავრდა, თუმცა ზოგი რამ კიდევ არის გასაკეთებელი. სექტემბერმა თავისი სიტყვა უნდა თქვას. ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ექსპერიმენტია. ქალბატონმა ოლბრაიტმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ექსპერიმენტი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, რაც კარგად ესმის რუსეთის ხელმძღვანელობას, კარგად გვესმის ჩვენ. ყველას კარგად გვაქვს შეგნებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც ამ მისიის დაკისრებით აიღო, უწინარესად, რუსეთმა.

რაც შეეხება ასამბლეის მუშაობაში ჩემს მონაწილეობას: მიწვეული ვარ, თუმცა ორი წლის წინანდელ ნათქვამზე ბევრის დამატება ძნელია. მაგრამ, სწორედ სექტემბერმა უნდა მომცეს ის საფუძველი, თუ რამდენად გამართლდება ეს ექსპერიმენტი, რამდენად სწორია ის კურსი, რომელსაც ჩვენ და უშიშროების საბჭო დავადექით აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. მე ვერ დაგისახელებთ თარიღს, როდის იქნება ჩემი გამოსვლა, მაგრამ საქართველოს დელეგაციის შეხვედრა გენერალურ ასამბლეასთან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

— დღეს გაიმართება პარლამენტის კოლეგიის სხდომა, ხვალ კი, არდადეგების შემდეგ, მუშაობას განაგრძობს საქართველოს პარლამენტი. ოპოზიციის ერთი ნაწილი სერიოზულად ემზადება დედაქალაქში, და არა მარტო აქ, სიტუაციის გასართულებლად. ასეთი საუბრები წინათაც ხშირად ყოფილა და დაუსახელებიათ კონკრეტული თარიღები. წერეთელი და მუხაიძე თქვენს გადადგომას მოითხოვენ. როგორც ამბობენ, საპარლამენტო სხდომაზე დააყენებენ შოთა კვირაიას გადაყენების საკითხსაც. როგორ ფიქრობთ, რით დამთავრდება ეს რთული დაპირისპირება; ერთი მხრივ, შვებულების შემდეგ გარკვეული ძალების ასეთი გააქტიურება და, მეორე მხრივ, პოლიციის მიერ დაწყებული მნიშვნელოვანი ოპერაციების შემდეგ მინისტრის გადადგომის თაობაზე საკითხის დაყენება?

— **არა მგონია, რომ ვითარების დაძაბვის რაიმე მცდელობას — გამოიწვიონ ახალი დაძაბულობა საზოგადოებაში, სასიკეთო შედეგი მოჰყვეს. ნურავინ ნუ დაივიწყებს, რომ აგრესიულად განწყობილ პოლიტიკოსთა გარდა, არის პარლამენტი, მისი საღად მოაზროვნე უმრავლესობა, დიდი ნაწილი, მხედველობაში მყავს ოპოზიციის მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც პასუხს აგებენ ქვეყნის წინაშე. არიან ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები, საზოგადოების მთელი შემადგენლობა, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან სახელმწიფოში. და, ბოლოს, არის ხალხი, რომელსაც ველარ გააბრიყვებ თავბრუდამხვევი დემაგოგიითა და პოპულისტური ფრაზეოლოგიით, დემაგოგიური მოწოდებებით. რეალური ცხოვრება, კრიზისიდან გამოსვლის რეალური გზები, ქვეყნის დღევანდელობა და მომავალი, თითოეული ოჯახის მდგომარეობა და მათი შველის გზები, — აი, რა აწუხებთ დღეს საქართველოს მოქალაქეებს. ნურავის ჰგონია, რომ ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა ამბიციებს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები შეეწირება. ეს აღარ მოხდება. ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ და მძიმე გაკვეთილებიც მივიღეთ.**

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის საკითხს, აქაც პარლამენტისა და ხალხის აზრი უნდა მოვიშველიოთ. დაახლოებით მაქვს წარმოდგენა — როგორია ეს აზრი. შოთა კვირაიას ხელმძღვანელობით დაწყებულმა ბრძოლამ კრიმინოგენული ვითარების გაჯანსაღებისათვის, ამ საკითხებზე სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებათა შესრულებისათვის, ხელისუფლების, მოსახლეობის ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. ვისაც სურს, რომ პოლიტიკური ბანკროტი არ გახდეს, მოსახლეობის აზრსა და განწყობას, რბილად რომ ვთქვა, ანგარიში უნდა გაუწიოს. ანგარიში უნდა გაუწიოს ამ სამინისტროს ათიათასობით მებრძოლი თანამშრომლის დამოკიდებულებას თავისი ლიდერისადმი. სანამ ამა თუ იმ პირის გადადგომასა და გადაყენებას მოითხოვ, როგორიც უნდა იყოს შენი პირადი დამოკიდებულებისა და პირადი წყენის დონე, მაინც უნდა შეგეძლოს საერთო სიტუაციაში, საერთო დამოკიდებულებაში გარკვევა.

რაც შეეხება ბატონების წერეთლის, მუხაიძის და ექს-პრეზიდენტის ქვეშევრდომთა მოთხოვნას შევარდნაძის გადადგომის შესახებ, საკითხები, რომლებზეც მე ახლა ვფიქრობ და ვმუშაობ, უფრო სერიოზულია, ვიდრე ის ძალები, რომლებიც ამ მოთხოვნათა უკან დგანან.

— გასულ კვირას მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გამოსვლისას თქვენ ყურადღება მიაპყარით პრივატიზაციის დაჩქარებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც აუცილებელია ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. სავალუტო ფონდი რეკომენდაციებთან ერთად დახმარებას გვპირდება. თქვენ მიიღეთ ბატონების პაპანდრეუს და გონსალესის წერილები დახმარების თაობაზე (სავალუტო ფონდის დახმარების გარდა იგულისხმება ამ ქვეყნების სხვა დახმარებაც). თურქეთმა 130 ათასი ამერიკული დოლარის ჰუმანური დახმარება გამოგზავნა. თურქმენეთში საგანგებო სტატუსი მიანიჭეს ჩვენს წარმომადგენელს. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ დაიწყო სერიოზული საუბარი თურქმენეთის ვალის გასტუმრებაზეც. ქართულ ნავთობთან დაკავშირებით წინა კვირას ინგლისური ფირმის წარმომადგენლებს შეხვდით. ამ ფონზე საქართველოს მთავრობის დელეგაცია მოსკოვში ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარების საკითხებზე საკონსულტაციო-საკოორდინაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობს და ერთი წლის ვადით აპირებს ხელმოწერას დოკუმენტზე — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური კავშირის შესახებ. ამ დოკუმენტზე უარი თქვეს აზერბაიჯანმა და თურქმენეთმა, ასოცირებულ წევრად აპირებს შესვლას უკრაინა. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას და ხომ არ შეასრულა რაიმე გარკვეული როლი მოსალოდნელმა ზამთარმაც. ეს მოვლენები მიტომ გავიხსენეთ, რომ ქვეყანაში მართლაც გარკვეული ძვრები იგრძნობა, ამ დოკუმენტზე კი ისეთი აზრია გავრცელებული, თითქოს იგი ჩვენ გარკვეულ კაბალურ პირობებში გვაყენებს...

— **თქვენ, პრინციპში, უკვე ჩამოთვალეთ ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც ვმუშაობ ჩემს კოლეგებთან ერთად და რომელთა გამოც არაფრად ვაგდებ ზოგიერთების ქუჩა-ქუჩა მეგაფონით ხელში სირბილს, შევარდნაძის გადადგომაზე მათ ღრიანცელს. თქვენს ნათქვამს დავუმატებდი ეკონომიკური რეფორმების იმ ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო ეტაპს, რომელზეც ახლა ვიმყოფებით. თქვენ აღნიშნეთ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. უნდა აღინიშნოს ანტიკრიზისული პროგრამაც, რომელიც მოვიწონე, დავამტკიცე და შემდეგ პარლამენტის წევრებს დაურიგდათ. იგი საბაზო დოკუმენტად მიიღო სავალუტო ფონდმა. ვინც საქმეშია ჩახედული, მიაჩნია, რომ ეს კარგი პროგრამაა, რა თქმა უნდა, იმ სიძნელეების გათვალისწინებით, რომლებსაც ასე უცბად ვერ დავძლევთ. დარწმუნებული ვარ, ხვალ პარლამენტის ყურადღების ცენტრში სწორედ ეს პრობლემა იქნება — ახალი, ურთულესი და უძნელესი ეტაპი ეკონომიკური რეფორმის განხორციელების გზაზე. ვინც ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა, თუ რა ხდება სახელმწიფოში, დამერწმუნება, რომ ჩვენ მართლაც შევედით ეკონომიკური რეფორმების, ეკონომიკური გარდაქმნების სიღრმეში. ეს არ არის მარტო მოწოდებები, ეს არის მოქმედება, მუშაობა რეფორმებზე, დღედაღამ, ჩვენი აზროვნებისა და ენერგიის უდიდესი დაძაბვით და გარკვეული რისკითაც, რადგან, ის, რაც ამ დღეებში უნდა მოხდეს, სერიოზულ რისკთანაც არის დაკავშირებული. ყველა ეს ღონისძიება, სინქრონიზებულია სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებთან და პრაქტიკულად ემთხვევა იმ გზას, რომელიც გაიარეს საბაზრო ეკონომიკის კურსით მიმავალმა ქვეყნებმა.**

ერთხელ კიდევ მინდა მივმართო თურქმენეთის ხელმძღვანელობას ულრმესი მადლიერების სიტყვებით იმისათვის, რომ ყოველმხრივ გვიწყობენ ხელს და გვაძლევენ საშუალებას მივიღოთ თურქმენული გაზი. აქამდე ვალის გასტუმრების საშუალება არ გვქონდა, ახლა დაიწყო აქტიური მუშაობა, ვეძებთ დამატებით რესურსებს, რომ დავალიანება შევამციროთ მაინც და მათ ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ პარტნიორები ვართ და გვაწუხებს ეს პრობლემა.

ამასთან, ჩვენი მეგობრები მსოფლიოში მხარს გვიჭერენ, გვეხმარებიან და მძიმე ხვედრს გვიმსუბუქებენ. თქვენ უკვე ახსენეთ ესპანეთისა და საბერძნეთის პრემიერების წერილები, რომლებიც ამ დღეებში მივიღე. მანამდე იყო გერმანიის კანცლერის ბატონ კოლის წერილი, უფრო ადრე — ინგლისის პრემიერის ბატონ მეიჯორის წერილი და სხვა სახელმწიფოთა მეთაურების მომართვები ჩემი თხოვნის პასუხად. ევროპის 12 ქვეყნიდან, რომელთა მეთაურებს დახმარებისათვის მივმართე, თითქმის ყველამ, გარდა ორი-სამისა, გვიპასუხა და ვიცი, რომ დანარჩენებიც გზავნიან საპასუხო წერილებს. ამას წინათ ქალბატონმა ოლბრაიტმა ჩამოიტანა პრეზიდენტ კლინტონის წერილი დახმარებისათვის მზადყოფნის გამოხატვით, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

წარმატებით დამთავრდა ბატონ ზურაბ კერვალიშვილის ვიზიტი ირანში და მისი შეხვედრა პრეზიდენტ რაფსანჯანისთან. პრეზიდენტმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ჩვენ უკეთესად მოვემზადოთ ზამთრისათვის. დაახლოებით 600-650 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიღებაზეა ლაპარაკი. ეს არ არის საჩუქარი, ჩვენ უნდა გადავიხადოთ ვალი უახლოესი სამი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს უკვე შეღავათია, რადგან ორი-სამი წლის შემდეგ ჩვენთან ცხოვრებისა და მუშაობის ცოტა სხვა პირობები იქნება, სხვა მდგომარეობაში იქნება ეკონომიკა. ეხლა ძალიან დიდი იმედია იმისა, რომ ზამთარს გავუძლებთ და ნაკლები დანახარჯებითა და დანაკარგებით გადავიტანთ მას.

ბევრს გვეხმარება ჩვენი მეზობელი თურქეთი.

ამ კვირას თბილისში ჩამოვლენ რუსეთის ეკონომიკური სამსახურების ავტორიტეტიანი წარმომადგენლები — როგორც გუშინ მითხრეს, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი ბატონი დავიდოვი, სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები. ვფიქრობ, გამოზამთრებასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი გადაწყდება. რუსეთის შესაბამისმა სამსახურებმა ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ „კავკასიონის" მაღალი ძაბვის ხაზი აღდგეს. რუსეთის მხარეს სამუშაოები დამთავრებულია, ეს საკმაოდ ძვირადღირებული საქმეა. ახლა მთავარია, ჩვენ შევუერთდეთ და, თუ სათანადო პირობებს შევქმნით, საშუალება გვექნება ელექტროენერგია მივიღოთ რუსეთიდან. ასეთი დაპირება არის. დელეგაციის სტუმრობის დროს ამ საკითხსაც გავარკვევთ.

გუშინ მივიღე გაეროს სასურსათო პროგრამის ხელმძღვანელის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის შეტყობინება, რომ მათ რომში ხელი მოაწერეს საქართველოსათვის სასურსათო დახმარების პროგრამას 21 მილიონი დოლარის ფარგლებში. ეს არის — 80 ათასი ტონა ფქვილი, 4.500 ტონა მცენარეული ზეთი (ეს იმას ნიშნავს, რომ სულზე შეგვიძლია გავცეთ თითქმის ერთი ლიტრი ზეთი), 1700 ტონა შაქარი და ზოგიერთი სხვა პროდუქტი. ევროგაერთიანებისა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების შესახებ მე უკვე ვილაპარაკე. ყველაფერი ეს განსაკუთრებით შთამბეჭდავია მომავალ ზამთართან დაკავშირებით.

ახლა ხალხმა უნდა განსაჯოს — ვიმუშაოთ ამ პროგრამებზე თუ წერეთელს, „მრგვალ მაგიდას" თუ მუხაიძეს ვდიოთ ქუჩა-ქუჩა, ამაზე ხალხმა მართლაც სერიოზულად უნდა იფიქროს და არჩევანი მოახდინოს: რა არის უფრო მნიშვნელოვანი — წერეთლის მოწოდებები თუ ყველაფერი ის, რაც ჩამოვთვალე და კიდევ მრავალი, რაზეც შეიძლება ვილაპარაკო პარლამენტის ხვალინდელ სხდომაზე, შემდეგ გამოსვლებში.

რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირს: აზერბაიჯანსა და თურქმენეთს უარი არ უთქვამთ დოკუმენტის ხელმოწერაზე, არამედ გადადეს სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრამდე. იგი ოქტომბერში გაიმართება და ხელშეკრულებაზე ჩვენი საბოლოო ხელმოწერის საკითხი — ეკონომიკურ კავშირთან შეერთება — უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ შევა ძალაში. დარწმუნებული ვარ, რომ, აზერბაიჯანი მოაწერს ხელს. მისი დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ეს, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება მისთვის. თუმცა, ხელმძღვანელობამ უკეთ უწყის ეს. რაც შეეხება თურქმენეთს, მას ისეთი პირობები და იმდენი სიმდიდრე აქვს, რომ მართლაც შეუძლია გააკეთოს არჩევანი — მოაწეროს ან არ მოაწეროს ხელი. ჩვენი შესაძლებლობა არჩევანის თვალსაზრისით უფრო ნაკლებია. თუმცა, დრო მანამდე კიდევ ერთ თვეზე მეტია, მექნება საშუალება, უფრო არსებითად ჩავიხედო ამ პრობლემებში და ისეთი გადაწყვეტილება მივიღო, რომელიც სადღეისოდ და სამომავლოდაც მიზანშეწონილი და გამართლებული იქნება.

— გასულ კვირას ქობულეთში გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების საპარლამენტთაშორისო მუდმივმოქმედი კომისიის სხდომები. საქართველოში ჩამოვიდა ასამბლეის გენერალური მდივანი კროტოვი. ფაქტობრივად, შტაბბინის გარეთ პირველად გაიმართა ასეთი სხდომა. რა მნიშვნელობას მიანიჭებდით ამ ფაქტს?

— **თავისთავად, — ბატონ კროტოვის ჩამოსვლა, საპარლამენტთაშორისო კომისიების სხდომა, მნიშვნელოვანი მოვლენაა. მით უფრო, რომ წამყვანი კომისიების თავმჯდომარეები ჩვენი პარლამენტარები არიან — ცხრა კომისიიდან ორს საქართველოს წარმომადგენლები მეთაურობენ. ქობულეთის შეხვედრა უდავოდ მისასალმებელია, ისევე, როგორც ჩვენ მივესალმებით შავი ზღვისპირა ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას თბილისში. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი ღონისძიებები, მით უფრო უკეთესად დაინახავს მსოფლიო, რომ საქართველოში დადგა სტაბილურობის დამკვიდრების ეტაპი და სწორედ ეს იძლევა ამგვარი საერთაშორისო ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, მადლობელი ვარ აჭარის ხელმძღვანელობისა, ასლან აბაშიძისა, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ყურადღება არ მოაკლო ჩვენს სტუმრებს და ყველაფერი იღონა, რათა ეს შეხვედრა კარგად გამართულიყო. მომავალში კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაიმართება საქართველოში.**

— ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, საქართველოში კულტურული ცხოვრება აღმავლობით გრძელდება. ამას წინათ გამოვიდა გაზეთი „თეატრი და კინო", რომელშიც საოცარი სტატისტიკაა, თუ 6 თვის განმავლობაში რამდენი სპექტაკლი დაიდგა, რამდენი პრემიერა გაიმართა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით თითქმის ყოველდღიურად ვიგებთ, რომ იხსნება გამოფენები. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, დიდი კრიზისი საქართველოში არ ყოფილა. გუშინაც დიდებული საღამო აჩუქეს თბილისს ნინო ანანიაშვილმა და საბალეტო ხელოვნების სხვა ვარსკვლავებმა...

— **ამის შესახებ ბევრი მითქვამს და ეს გაზეთიც განსაკუთრებული მღელვარებით გადავათვალიერე. ერთი საკითხია, როცა ცალკეულ სპექტაკლებს ესწრები, ცალკეულ კოლექტივებს ხვდები, მაგრამ სხვაა, როცა ეს ყველაფერი თავმოყრილია და ხედავ, რომ კი არ დაძაბუნდა და დაჩიავდა ქართული ხელოვნება, არამედ მან ამ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის წლებში ახალ დონეს, განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია. თითქოს დამატებითი ძალები გამოძებნეს ამ სფეროში მომუშავე ჩვენთვის მართლაც საამაყო ადამიანებმა იმისათვის, რომ ქართულმა სულიერებამ და ქართულმა ხელოვნებამ, ლიტერატურამ კვლავ აღმავლობით იაროს. გაზეთში მოყვანილი ნუსხა მართლაც ძალიან შთამბეჭდავია. მარტო რაოდენობაში როდია საქმე. მე ზოგიერთ სპექტაკლს მაინც დავესწარი, რამდენიმე სურათი მაინც ვნახე და, შეიძლება ითქვას, რომ ეს მართლაც ახალი დონეა. სასწაულია და არც არის გასაკვირი, როგორი რეაქცია გამოიწვია ბატონ მიხეილ თუმანიშვილის მოგზაურობამ მოსკოვში, ევროპაში, რუსთაველის თეატრის, ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა გასტროლებმა. ერთხელ კიდევ მინდა (ალბათ, სიტყვები არ მეყოფა) ჩემი უდიდესი პატივისცემა, უდიდესი თაყვანისცემა გამოვხატო ჩვენი ხელოვნების, ლიტერატურის, თეატრის, კინოს მოღვაწეებისადმი, მხატვრებისადმი, რომლებმაც ამ გაჭირვების, ტკივილების დროს ამდენი სიხარული მოგვანიჭეს და ადამიანებს ჭრილობა მოუშუშეს პირდაპირი და გადატანითი გაგებით.**

რაც შეეხება წუხანდელ სპექტაკლს — ეს საოცარი სანახაობა იყო. არა მგონია, შეიძლებოდეს აღწერა, რა სიხარული და სიამოვნებაა ადამიანისათვის, როცა ვარსკვლავებს უყურებ, მათ შემოქმედებითს სიხარულს იზიარებ. გაჭედილი იყო დარბაზი, დასადგომიც არ იყო. თუმცა ბილეთები ძალიან ძვირია, მაგრამ, ეტყობა, ხალხი დაზოგავს, ლუკმაპურს არ შეჭამს და დიდ ხელოვნებას კი ეზიარება. განსაკუთრებით ახალგაზრდობა იყო ბევრი, მათ არ დაავიწყდებათ წუხანდელი სასწაული ზეიმი. მეამაყება, რომ ქალბატონი ნინო ანანიაშვილი ჩვენი თანამემამულეა და, რომ იგი ასე უყვართ მის დიდ მეგობრებს, ისეთივე ვარსკვლავებს, როგორიც თვითონ არის, და რომლებიც ჩამოვიდნენ, რათა სიხარული მიანიჭონ ქართველ ხალხს და საქართველოს.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

სოხუმი. აფხაზ სეპარატისტთა ხელმძღვანელობამ შეადგინა ქართველთა 10.000-კაციანი სია, რომლებსაც ეკრძალებათ აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლა. მათ შორის არიან არა მარტო მებრძოლები, არამედ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები — მწერლები, პოეტები, მასწავლებლები და პოლიტიკურ პარტიათა წევრები.

სოხუმი. უკანასკნელ დღეებში, აფხაზ სეპარატისტთა დაჯგუფების ლიდერები აფხაზური ტელევიზიით გამოსვლისას სოხუმის, გულრიფშის და სხვა რაიონების ქართველ მოსახლეობას მოუწოდებენ ა. წ. 27 სექტემბრამდე დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია.

სოხუმი. ამჟამად, აფხაზეთის ტერიტორიაზე საშუალო ყოველთვიური ხელფასი 10-15 ათას რუბლს შეადგენს. ფულის მასას აფხაზეთი რუსეთიდან იღებს.

სოხუმი. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ სმირმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელისუფლება დადებითად აფასებს რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების მოქმედებას და აღნიშნა, რომ რუსეთი პრინციპულ პოზიციას იცავს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში.

გალი. ქართველ სამხედრო დამკვირვებლებს გალის რაიონის ტერიტორიაზე კვლავ არ უშვებენ. ამას რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები იმით ხსნიან, რომ აფხაზური მხარე ქართველ დამკვირვებელთა გალის რაიონში შესვლის წინააღმდეგია.

გალი. საბოლოოდ გადაწყდა ენგურჰესზე მომუშავე ქართველი ენერგეტიკოსებისათვის მუდმივი საშვების გამოწერის საკითხი, რათა მათ შეძლონ, შეუფერხებელი მოძრაობა ენგურის ხიდზე.

ახალქალაქი. ახალქალაქის რაიონში ჩატარდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა, მძიმე ტექნიკის გამოყენებით. სამხედრო მანევრებს დაესწრო სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი სერჟ სარქისიანი.

დემურ დვალიშვილმა თავი მოიკლა

9 სექტემბერს, გვიან საღამოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტამენტის დერეფანში, დაკითხვის შემდეგ, ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილოდ დაიჭრა თავი მოწმედ გამოძახებულმა საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა. იმავე საღამოს, იგი ქალაქის პირველი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში გარდაიცვალა. დემურ დვალიშვილი საავადმყოფოში მიიყვანეს თავის არეში გამჭოლი ჭრილობით.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის განმარტებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. წინასწარი გამოძიება და კომისიური ექსპერტიზის მიერ განხორციელებული გამოკვლევა ადასტურებენ თვითმკვლელობის ფაქტს. რაც შეეხება, კითხვაზე პასუხს, თუ როგორ მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტამენტის შენობაში მოწმედ მისული დემურ დვალიშვილის იარაღით შეშვება, გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა, რომ თვითმკვლელობამდე მისვლის მიზეზების დადგენასთან ერთად, გამოძიების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ ამ საკითხის გარკვევაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გურამ ქარქაშაძემ კი აღნიშნულ შენობაში დემურ დვალიშვილის იარაღით შესვლა ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია.

მაია ალუდაური,
თამარ მოლაშვილი,
საქინფორმის კორესპონდენტები.

ნიკო ნიკოლაძის საიუბილეოდ

მახვილი პუბლიცისტიკა იყო მისი იარაღი



ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა საღამო, რომელიც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართა. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა მზია ნადირაძემ. მოხსენება გააკეთა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა დალი ჩიკვილაძემ, პროფესორებმა ალექსანდრე ღლონტმა, ჯიბო ლომაშვილმა, მუზეუმის მეცნიერ-მუშაკებმა თამარ კობახიძემ, ლიანა გოროგაძემ და სხვებმა ისაუბრეს ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაზე გასული საუკუნის მიწურულსა და ახალი საუკუნის დასაწყის წლებში.

არ ყოფილა მაშინდელ საქართველოში პრობლემა, რომლის გამო, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში ნიკო ნიკოლაძეს არ მიეღო მონაწილეობა. მისი საგანმანათლებლო პროგრამა მაშინდელ სამოციანელთა კრედო იყო. ნიკო ნიკოლაძის — მძლავრი ჟურნალისტის ქართულ, რუსულ თუ უცხოურ პრესაში მოღვაწეობა, მისი პუბლიცისტური ნაშრომები დღეს მოითხოვენ უდიდეს ყურადღებასა და შესწავლას, რადგან წლების განმავლობაში, ნიკო ნიკოლაძის შრომების გამოქვეყნება რამდენადმე ჩრდილში იყო. საჭიროა, იუბილარის შრომების სრული კრებულების, რჩეული ნაწერების გამოქვეყნება, იმ ნაწერებისა, რომლებიც იბეჭდებოდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გერცენის „კოლოკოლში", „ოტეჩესტვენიე ზაპისკებში", „ნაროდნოე ბოგატსტვოში", მისგან დაარსებულ რუსულენოვან „ობზორში", და სხვა პერიოდულ გამოცემებში. საჭიროა დღევანდელ ახალგაზრდობას მიეწოდოს სრული ინფორმაცია ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ. იმის შესახებ, რომ ის პირველი ქართველი მოაზროვნე იყო, რომელმაც ციურიხში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, განიარაღებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შესახებ, რაც დღესაც ასე აქტუალურად ჟღერს.

საღამოზე ითქვა, რომ საჭიროა შეტანილ იქნეს ამ სახელოვან მამულიშვილზე ცნობები სასკოლო სახელმძღვანელოში, გაიხსნას ნიკო ნიკოლაძის მემორიალი თბილისსა და ფოთში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
პოლკოვნიკ გ. თორაძის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პოლკოვნიკი გიორგი თორაძე საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
გ. პატარაიას თურქმენეთის რესპუბლიკაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკას დიდი დავალიანება აქვს თურქმენეთის რესპუბლიკიდან გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ბუნებრივი გაზით საქართველოს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის, დავალიანების დაფარვაში კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთშეთანხმებული კოორდინაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენელი თურქმენეთის რესპუბლიკაში **გ. პატარაია** დაინიშნოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენლად და მასვე დაევალოს თურქმენეთში საქართველოს ვალის დაფარვასთან დაკავშირებული სამთავრობათშორისო საკითხების მოგვარება, მოლაპარაკება და კოორდინაცია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებთან.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 8 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ჯარისკაცების მემკვიდრეებზე საპრივატიზაციო ბარათების გადაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის 287 დადგენილებით განსაზღვრული კონტინგენტის დამატებით საპრივატიზაციო ბარათები გაიცეს საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ჯარისკაცებზე და გადაეცეთ ისინი მათ კანონიერ მემკვიდრეებს.

ტერიტორიულმა კომისიებმა სიები შეათანხმონ ჯარისკაცთა ხსოვნის ფონდთან და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 8 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
„ბოლნისობის" სახალხო დღესასწაულის დაწესების შესახებ

1. **მიღებულ** იქნეს ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შ. რეხვიაშვილის, აკადემიკოსების მ. ლორთქიფანიძის, რ. მეტრეველის, დ. მუსხელიშვილის, პროფესორების ზ. ალექსიძისა და რ. სირაძის წინადადება სახალხო დღესასწაულის „ბოლნისობის" დაწესების შესახებ.

2, „ბოლნისობა" გაიმართოს ყოველი წლის სექტემბრის ბოლო კვირა დღეს.

3. 1994 წლის 25 სექტემბერს ბოლნისის რაიონში გაიმართება „ბოლნისობასთან" დაკავშირებული სადღესასწაულო ღონისძიებანი.

4. ღონისძიებათა მაღალ დონეზე განსახორციელებლად შეიქმნას სამთავრობო კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის მოიწვიონ რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რითაც ხაზგასმით უნდა გამოიკვეთოს ამ მოვლენის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა (ო. ფაცაცია), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (ა. თავხელიძე), თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რ. მეტრეველი) უზრუნველყონ კომისიის გადაწყვეტილებათა დროული შესრულება.

6. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით დღესასწაულის წინა დღეს თბილისში გაიმართოს ერთობლივი სამეცნიერო სესია.

7. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციამ (ა. გოგელია) გადაიღოს ტელეფილმი ბოლნისის სიონსა და მასში დაცულ უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლზე და მოამზადოს სპეციალური გადაცემა ამ დღესასწაულთან დაკავშირებით.

8. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციამ (ვ. აბაშიძე) უზრუნველყოს დღესასწაულის გაშუქება.

9. ამ ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩეველს კულტურის, მეცნიერებისა და განათლების საკითხებში კობა იმედაშვილს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
პოლკოვნიკ გ. თორაძის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სამხედრო მრჩევლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს პოლკოვნიკი გიორგი თორაძე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სამხედრო მრჩევლის თანამდებობიდან.

ე. შევარდნაძე.

სამუშაო ვიზიტით მოსკოვში

რამდენიმე დღეა, მოსკოვში იმყოფება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე. საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელი სამუშაო წესით შეხვდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს, არმიის გენერალს პაველ გრაჩოვს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრეი კოზირევს, გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ მიხეილ კოლესნიკოვს და რუსეთის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევს. განიხილეს რუსეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებისა და ჩვენი რესპუბლიკისათვის სამხედრო-ტექნიკური დახმარების საკითხები. ყველა შეხვედრას წითელ ზოლად გასდევდა აფხაზეთიდან დევნილთა დაბრუნებისა და კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობის თემა.

7 სექტემბერს რუსეთის თავდაცვის მინისტრის მიწვევით ვარდიკო ნადიბაიძემ მონაწილეობა მიიღო დაბა ტოცკში გამართულ რუსეთ-ამერიკის ერთობლივ სწავლებაში.

9 სექტემბერს გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა თათბირი, რომელზეც განიხილეს სამხედრო თანამშრომლობის საკითხები.

10 სექტემბერს ვ. ნადიბაიძე კვლავ შეხვდა რუსეთის თავდაცვის მინისტრს პ. გრაჩოვს. მინისტრებმა განიხილეს უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური საკითხები.

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი — საქინფორმი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო კულტურის სამინისტროს წინადადება 1994-1995 წლებში ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური დათვალიერების გამართვის შესახებ.

დათვალიერება სამ ტურად მოეწყობა: პირველი (ადგილობრივი ტური) გაიმართება 1994 წლის სექტემბერ-დეკემბერში, მეორე (ზონალური ტური) — 1995 წლის მარტ-აპრილში, მესამე (დასკვნითი ტური) ქ. თბილისში — 1995 წლის მაისის მესამე დეკადაში და მიეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღესასწაულს.

დათვალიერების პირველი და მეორე ტურების ორგანიზაციულად მოწყობა დაეკისრა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა რესპუბლიკის კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე.

ინტერვიუ

ზამთრის მოლოდინში

ლონდონიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს მთავრობის დელეგაცია ვიცე-პრემიერის ირაკლი მენაღარიშვილის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა მომავალი ზამთრისათვის მომზადებაში საქართველოს დახმარების შესახებ მსოფლიო ბანკის მიერ მოწყობილ თათბირში. განმარტა რა ამ ვიზიტის შედეგები, ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტ იური გოლდმანთან საუბარში თქვა:

— დღეს არავისათვის არ არის საიდუმლო, რომ საქართველოში ენერგომომარაგება კრიზისულია. ეს დაკავშირებულია საერთოეკონომიკურ არასტაბილურობასთან, ენერგოშემცველების მოწოდების სირთულეებთან, საქართველოს დიდ საგარეო, კერძოდ, თურქმენეთის ვალთან. ამ და სხვა მიზეზთა გამო მოსახლეობის, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ენერგიით უზრუნველყოფა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ამის მიზეზი გახდა ისიც, რომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა დახმარების მოწოდებით მიმართა პრაქტიკულად ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის დონორ ქვეყნებსაც, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ისეთ საერთაშორისო სტრუქტურებს, როგორიცაა მსოფლიო ბანკი. ამ უკანასკნელის ინიციატივით წლეულს ივლისში პარიზში გაიმართა საქართველოს დახმარების საკითხებზე დონორი ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც მოხსენებით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია. მაშინ გამოიკვეთა ფინანსური სტაბილიზაციის დარგში, სასურსათო სფეროში, ენერგეტიკასა და სხვა დარგებში საქართველოსათვის დახმარების გაწევის საკითხთა წრე. მიიღეს მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია — დაპირება, რომ ამგვარი შეხვედრები მოეწყობოდა კონკრეტული მიმართულებებით.

პირველი ასეთი შეხვედრა გაიმართა ლონდონში, რომელშიც მონაწილეობდნენ დონორი ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, აგრეთვე ევროპის გაერთიანების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგი სტრუქტურების წარმომადგენლები და მსოფლიო ბანკის ექსპერტები. ჩვენ წარვადგინეთ მოხსენება მომავალ ზამთარში ენერგეტიკული ბალანსის სტაბილიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც შეიცავდა სიტუაციის მოკლე მიმოხილვას, აგრეთვე მიზეზთა ანალიზსა და ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემის მოთხოვნილებათა ძირითად მაჩვენებლებს. შევიტანეთ წინადადებანი მომავალი ზამთრისათვის საქართველოსადმი ჰუმანური დახმარების გაწევის შესახებ, რათა ენერგომომარაგებით, ენერგოშემცველებით, სათბობით მინიმალურად მაინც იყვნენ უზრუნველყოფილი პურის საცხობები, საავადმყოფოები, მმართველობის ობიექტები და ა. შ. თავიანთი ანალიზი წარმოადგინეს მსოფლიო ბანკის ექსპერტებმაც, რომლებიც მანამდე საქართველოში იყვნენ და პრაქტიკულად დაადასტურეს ყველა ჩვენი მოსაზრება. მიღწეულია პრინციპული მორიგება, რომ თითოეული ქვეყანა განიხილავს მომავალი ზამთრისათვის საქართველოსადმი დახმარების საკითხებს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ საქმე ეხება არა საერთოდ ენერგეტიკის განვითარებას, არამედ მომავალი ზამთრისათვის გადაუდებელ ღონისძიებებს. ჩვენ გვითხრეს, რომ ამერიკის მხარე საქართველოს დაეხმარება თბოსადგურებსა და ჰიდროელექტროსადგურებში სარეკონსტრუქციო და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დამთავრებაში, რომლებიც უკვე რამდენიმე წელიწადია არ განხორციელებულა ფინანსურ სიძნელეთა გამო. წლეულს ამ სამუშაოებს მთლიანად დააფინანსებს ამერიკის მხარე. ამას გარდა, ამერიკის მთავრობამ გამოყო ენერგოშემცველების ტრანსპორტირების სახსრები, რომლებიც საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შემოვა. იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები შეგვპირდნენ, რომ განიხილავენ საკითხს რესპუბლიკაში დამატებით მაზუთისა და ნავთის მოწოდების შესახებ მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამ დღეებში ამერიკის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს მოაწოდოს მაზუთის ახალი პარტია კვების მრეწველობის ობიექტების, სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოებისა და იმ სხვა დაწესებულებების სარეზერვო კვების უზრუნველყოფისათვის, რომლებშიც არის ავტონომიური თბომომარაგების შესაძლებლობა. ამას გარდა, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია შეგვპირდნენ, რომ განიხილავენ საზამთროდ საქართველოს საჭიროებისათვის სახსრების დამატებითი გამოყოფის შესაძლებლობას. იმედი გვაქვს, რომ ენერგეტიკის სფეროში საქართველოს დახმარების კონკრეტულ პროგრამას წამოაყენებს ევროპის გაერთიანებაც. სხვათა შორის, თათბირის შემდეგ ევროკავშირის ექსპერტები უკვე ეწვივნენ საქართველოს, ადგილზე გაეცნენ ჩვენს მოთხოვნილებებს და შეგვპირდნენ, რომ სექტემბერში ევროპის კომისიის პირველსავე სხდომაზე განიხილავენ წინადადებებს ამ საკითხზე. ამას გარდა, ევროკავშირი განაგრძობს მაზუთის მოწოდებას ჰუმანიტარული ხაზით, რომელიც შარშან დაიწყო, და ეს შესაძლებლობას მოგვცემს თბილსრესში შევქმნათ თუნდაც ასი ათასი ტონის მარაგი. მართალია, ეს სრესის მოთხოვნილებას სარეზერვო კვებაზე სულ 30 პროცენტით დააკმაყოფილებს, მაგრამ, შარშან ამ ელექტროსადგურში სარეზერვო კვება საერთოდ არ გვქონია, ისე გამოვიზამთრეთ.

იმედი გვაქვს, რომ მსოფლიო გაერთიანებისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით, საქართველო ზამთარს სათბობის რეალური მარაგით შეხვდება. ამას გარდა, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ კომუნალურ სფეროში საქართველოს დახმარების რიგი საკითხები. მსოფლიო ბანკი მთლიანად აფინანსებს თბილისსა და ქუთაისში თბოქსელების, თბოცენტრალების რეკონსტრუქციის პროექტებს.

ჩვენმა დელეგაციამ მოლაპარაკება გამართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, სადაც იხილება დასავლეთ საქართველოში ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა ბაზაზე მძლავრი სრესის მშენებლობის დიდი პროექტის დაფინანსების საკითხი. პროექტს ამუშავებს გერმანული კომპანია, ხოლო აფინანსებს ევროპული ბანკი. ლონდონში გაიმართა სამივე მხარის შეხვედრა, რომელზეც განხილული იყო სამუშაოთა დაფინანსებისა და ორგანიზაციის მიმდინარეობა. ევროპის ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ მზად არის დააფინანსოს ეს პროექტი. განხილულია რიგი ტექნიკური პროექტები, რომლებიც უკვე ხორციელდება საქართველოში და რომელთა საერთო თანხა 205 მილიონი დოლარია. ეს სამუშაოები ეხება აგრეთვე ენერგეტიკის სფეროს, სწავლობენ საშუალო და მცირე ძალის ელექტროსადგ[illegible] ობის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფს ლოკალური სისტემებისათვის.

— როდის გადაწყდება მთლიანად ელექტროენერგიით საქართველოს უზრუნველყოფის საკითხი?

— მხოლოდ ამ სფეროში სრული ბალანსის მიღწევის შემდეგ. მაგრამ, ეს ძალიან რთული საკითხია. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში დიდძალი ენერგორესურსებია, ჩვენი ენერგოსისტემა დეფიციტურია. როცა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით, ჩვენ მეტი ელექტროენერგია შემოგვქონდა, ვიდრე გვქონდა. ჩვენი ბალანსი უარყოფითი იყო. პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი იქნება ბალანსის დაფარვა. მაშინ დამოკიდებული არ ვიქნებით გარეშე დახმარებაზე. მაგრამ, ვიმეორებ, ეს ადვილი საქმე როდია, რამდენიმე წელიწადში ვერ გადავწყვეტთ. ამაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება ის დიდი პროექტები, რომლებსაც შე[illegible] ხეთ. დღეს ლაპარაკია საქართველოსათვის გადაუდებელ დახმარებაზე, რათა ზამთარი გადაიტანონ მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაუცველმა ფენებმა. რაც შეეხება დანარჩენს, ეს [illegible] რადად ჩვენზე, ჩვენი ეკონომიკის, მათ შორის ენერგოსისტემის მობილიზაციაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ამაში უნდა შეგვეწიოს მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ[illegible]

აფხაზეთი — ჩვენი სატკივარი

კომისია მუშაობას განაგრძობს

9 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან გაიმართა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ მასალების შემსწავლელი კომისიის სხდომა. სხდომაზე განიხილეს კომისიის მიერ ღრმად გაწეული მუშაობის შედეგები. აღინიშნა, რომ სათანადო ორგანოებმა მოიპოვეს აფხაზეთის ეთნიკური წმენდის წინასწარ მზადების მრავალი ფაქტი.

ნათელი ხდება, რომ აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური წმენდა და გენოციდი შეეხო არა მარტო მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მათ შორის — აფხაზებს.

კომისია განაგრძობს მუშაობას დასახული გეგმის მიხედვით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

ბოლო დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ შორის რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში, ტელეგადაცემებში, ასევე ცალკეულ ოფიციალურ პირების გამოსვლებში, გულისხმობენ რა გუდაუთის ხელისუფლებას, ამა თუ იმ ფორმით უშვებენ გამოთქმებს „აფხაზეთის რესპუბლიკა", „აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლება" და ა. შ. უფრო მეტიც, აღნიშნავენ არარსებული, არალეგიტიმური, ანტიკონსტიტუციური „აფხაზეთის რესპუბლიკის" სახელმწიფოებრივ თანამდებობებს, უწყებებს, დაწესებულებებს, პერსონალურად მიუთითებენ მათ ხელმძღვანელებს.

ეს მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილებით თბილისში დისლოცირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მინიჭებული აქვს აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციები და არის აფხაზეთის ხალხების ინტერესების ერთადერთი კანონიერი გამომხატველი.

ყველა საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებაში, შეთანხმებაში, სხვა დოკუმენტებში, ასევე საქართველოს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე გამოყენებულია ტერმინები „საქართველოს მხარე" და „აფხაზეთის მხარე", რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით და ასახავს ამჟამად აფხაზეთში არსებულ ობიექტურ რეალობას.

აფხაზეთის პრობლემებთან და აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით ყოველი არაზუსტი გამონათქვამი და აბრევიატურის გამოყენება წყალს ასხამს გუდაუთელ თვითმარქვია ხელისუფალთა წისქვილზე, რომელთაც ჯერ კიდევ არ უღიათ ხელი უგვანურ მიზანზე — დაეკანონებინათ ომით, ძალადობით, სისხლით, ათიათასობით ქართველთა და სხვა ერის შვილთა გენოციდით მიღწეული დროებითი უპირატესობა და ჩამოეცილებინათ აფხაზეთი საქართველოს, შექმნან „დამოუკიდებელი სახელმწიფო".

აქედან გამომდინარე კატეგორიულად დაუშვებლად მიგვაჩნია უზუსტობა და ორაზროვნება პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტერმინების გამოყენებაში. მით უფრო, ასეთ რთულ და სათუთ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორიც აფხაზეთია, და განსაკუთრებით ამჟამად, ვიდრე არ გადაწყვეტილა აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი, კონსტიტუციით არ განსაზღვრულა საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული და პოლიტიკური მოწყობის საკითხი.

საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი ძალისხმევაა საჭირო

როცა სიმართლე ხალხისა და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხარეზეა, მის დასაცავად უფრო აქტიური და გაბედული მოქმედებაა საჭირო. ამიტომაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და რუსეთმაც უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მოახმარონ აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის ეფექტიანად წარმართვას, რაც, ამ ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, დევნილთა მშობლიურ კერაზე მშვიდობიანად დაბრუნების უზრუნველყოფით უნდა გამოიხატოს — ამ უმთავრეს საკითხში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრინციპული მოსაზრება სავსებით გაიზიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში თასლიმურ რაჰმანმა. იგი ჩვენს ქვეყანაში ამ სტატუსით მოღვაწეობის ვადის გასრულებასთან დაკავშირებით 9 სექტემბერს ეწვია ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და გამგზავრებამდე ერთხელ კიდევ გამოთქვა გაეროს მისიის წარმატებით განხორციელების გულწრფელი სურვილი. ბატონმა რაჰმანმა სახელმწიფოს მეთაურს აცნობა, რომ მისიის ახალი ხელმძღვანელი ბოსნიის ოპერაციებში გამოცდილი ექსპერტი 17 სექტემბრიდან შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას საქართველოში და მისი უმთავრესი ამოცანა ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაჩქარება იქნება. მან აქვე აღნიშნა, რომ ამ შედეგის მისაღწევად აუცილებელი პირობაა ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის უფლებამოსილებათა მანდატის გაფართოება.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმარს დევნილთა დაბრუნების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, რწმენა გამოთქვა, რომ გაერო გააქტიურებს თავის როლს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესში.

ეხმარებიან გაჭირვებულ თანამემამულეებს

წყნეთში ამჟამად აფხაზეთიდან 5 ათასზე მეტი დევნილი ადამიანი ცხოვრობს.

9 სექტემბერს წყნეთის დევნილთა საზოგადოებრივ კომიტეტთან და ლტოლვილთა სხვა წარმომადგენლობებთან შეხვედრაზე მოვიდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ლონდერ ცაავა, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი ვაშაკიძე, თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილე მელორ ტყეშელაშვილი და სხვა უწყებათა ხელმძღვანელები.

გაიმართა გულახდილი, ცხარე და პირუთვნელი საუბარი დევნილთა საყოფაცხოვრებო საკითხებზე, რომლებსაც ლტოლვილები მრავალგზის აყენებდნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა, ქალაქის სხვადასხვა სამსახურების წინაშე. აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მრავალმხრივი დახმარების მიუხედავად, ლტოლვილთა მდგომარეობა კვლავაც სავალალოა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფაში, შრომით დასაქმებაში, სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურებაში.

მძიმე პირობებთან დაკავშირებით გადაწყდა, დევნილთა პურპროდუქტებით რეგულარული უზრუნველყოფის საკითხი.

განსაკუთრებით მწვავედ დაისვა სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების დეფიციტის, მედპერსონალის ნაკლებობის პრობლემები, რაც ხშირად იწვევს მძიმე დაავადებების გავრცელებას, განსაკუთრებით ბავშვებში.

აღინიშნა აგრეთვე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა არ დადის სკოლაში, სასწავლო დაწესებულებებში არ აქვთ სახელმძღვანელოები, საჭირო სასკოლო ინვენტარი. ამ და სხვა პრობლემათა გადასაჭრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი.

ამგვარი შეხვედრები აფხაზეთიდან დევნილებთან გაიმართება დედაქალაქსა და საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ქართველთა დევნა გრძელდება

ამ ბოლო ხანს გუდაუთის რაიონში გაიმართა მიტინგები, რომელთა მონაწილეებმა გაილაშქრეს აფხაზეთში ქართველ დევნილთა დაბრუნების წინააღმდეგ. სხვადასხვა წყაროებიდან მოდის ცნობები, რომ ეს მიტინგები იწყობა აფხაზეთის მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელების მითითებებითა და რეკომენდაციებით. სპეციალურად ამზადებენ ორატორებს რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან. როგორც ყველაფრიდან ჩანს, სეპარატისტებს სურთ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აფხაზეთის რუსული მოსახლეობა ქართველ დევნილთა დაბრუნების წინააღმდეგი იყოს.

მიტინგებთან ერთად აფხაზეთში კვლავ სდევნიან ქართველი მოსახლეობის — ძირითადად ხანდაზმულ ნაწილს, რომელსაც კონფლიქტის ზონა არ დაუტოვებია.

არსებული მონაცემებით, წლეულს, აგვისტოში და სექტემბრის დამდეგს გუდაუთის რაიონიდან ამოწერეს და გააძევეს ქართული ეროვნების 35 მოქალაქე, მათი უმრავლესობა ქალები და მოხუცები არიან. არის მშვიდობიან მცხოვრებთა მკვლელობის ფაქტები. ამას აფხაზთა ხელისუფალნი იმით ხსნიან, რომ რეგიონში გამწვავდა კრიმინოგენული სიტუაცია და მათ არ შეუძლიათ კონტროლონ ვითარება. საგულისხმოა, რომ ყოველივე ეს ხდება მიტინგის მონაწილეთა იმ განცხადებების ფონზე, რომ გამარჯვების წლისთავს (მხედველობაში 27 სექტემბერს სოხუმის აღებ[illegible]) შეხვდნენ უქართველებოდ.

პარლამენტარი

დამოუკიდებელი და განუყოფელი საქართველოს მშენებლობაში

არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს გვევლინებიან პირველ ვარსკვლავებად პოლიტიკური მოვლენების კაბადონზე, მაგრამ მაინც იპყრობენ საზოგადოებრიობის ყურადღებას. მათი მოქალაქეობრივი პოზიცია, ინტელექტი, პრინციპულ ნიადაგზე ურყევადობით გამოირჩევა. ასეთი ადამიანები თითქოს პოლიტიკური მოვლენების ჩრდილში დგანან, მაგრამ პრაქტიკულად მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გახლავთ შალვა ბერიანიძე. იგი მუდამ ტრიალებდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში და ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა თავის პრინციპებსა და საერთო საქმეს. იგი დღეს, შეიძლება ითქვას, სამი განზომილებით წარმოგვიდგება: არის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, ამ პარლამენტის ყველაზე დიდი ფრაქციის — „თანხმობის" თავმჯდომარე და საქართველოს მშრომელთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჟურნალისტ ზურაბ ლომიძესთან მისი საუბარიც ამ სამი პოზიციიდან დანახული საქართველოს უახლოეს წარსულს, აწმყოსა და მომავალს შეეხება.

— ამ ბოლო დღეებში, როცა ქვეყანა თითქოს ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრების გზას ადგება, ქუჩებსა და მოედნებზე კვლავ გამოჩნდა საპროტესტო მიტინგები და მსვლელობანი, ისევ იგრძნობა მღელვარება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით გაიჩალიჩა უკვე კარგად განცდილი და გაცვლილი ვნებათა ღელვანი, საინტერესოა თქვენი, ამ მოძრაობისადმი იმ კაცის დამოკიდებულება, ვისთვისაც უცნობი არ უნდა იყოს მისი არსი, ბუნება, განვითარება, წარსული, დღევანდელი პერსპექტივები და მომავლის ტენდენციები.

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის აღელვებდა და კვლავაც აღელვებს ქვეყნის ბედით დაინტერესებულ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა ბოლოდროინდელმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აშკარად უღალატა თავის კეთილშობილ, საქართველოს ღირსეული შვილების მიერ საფუძველჩაყრილ ტრადიციებს, გააყალბა მისი იდეები და დანიშნულება. მან დროის მიერ შექმნილი ხელსაყრელი ვითარება, თავისუფლებისაკენ სწრაფვის ეროვნული და სათუთი გრძნობის სიმებზე თამაშით, პირადული, ამბიციური მიზნებისათვის გამოიყენა; ქვეყანა ნგრევამდე მიიყვანა, ხალხი კი სულიერად გამოფიტა, გაალატაკა.

ბოლოდროინდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეფასებაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებულად სამ მთავარ მომენტს უნდა გაესვას ხაზი, რამაც განაპირობა ამ მოძრაობის დეფორმაცია და მიგვიყვანა ყველა იმ უბედურებამდე, დღეს რომ გვჭირს.

პირველი — ეს არის ისტორიული მომენტი, რამაც შექმნა პირობები ამ მოძრაობის ახალი ტალღის აგორებისათვის. ეს ის დრო იყო, როცა საბჭოთა იმპერია ნგრევის პირას მივიდა და ქვეყანაში გამოცხადდა გარდაქმნა, დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი, რაც შემდგომში თვით ამ პროცესის წამომწყებთათვისაც უმართავი გახდა. ყოველივე, რაც ცუდი და დადებითი იყო, უარყოფითად გამოვაცხადეთ. დავამკვიდრეთ რწმენა, რომ არაფერი ძველი მოსაწონი არ იყო.

მოდით, გავიხსენოთ როგორ და რა მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

უპირველეს ყოვლისა მიიღო ხელისუფლება, როგორც იტყვიან, ხონჩით მირთმეული, მზამზარეული, როცა ძველმა ხელმძღვანელობამ სრული უუნარობა და უპრინციპობა გამოიჩინა, უღალატა თავის იდეებსაც და ხალხსაც. თოფი არ გავარდნილა, სამაგიეროდ მერე ავტეხეთ ბათქა-ბუთქი ერთიმეორის წინააღმდეგ, ალბათ, იმისათვის, რომ შეგვექმნა ბრძოლით მოპოვებული ხელისუფლების ილუზია.

მეორე, რამაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დეფორმაცია გამოიწვია, ის არის, რომ მან სრულიად უგულებელყო ეკონომიკა ქვეყნის ცხოვრებაში. ჯერ იყო და, ადრინდელ პროგრამებსა და კონცეფციებში, შემდეგ კი ხელისუფლების სათავეში მოსვლისას, ვერ ნახავდით სერიოზულ კონკრეტულ წინადადებას, რაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გამოსულ ხალხს გამოადგებოდა სიდუხჭირისაგან თავდასაცავად. მხოლოდ იმას გაიძახოდით, საბჭოთა ხელისუფლება, პირველ ყოვლისა კი, რუსეთი გვძარცვავს.

ერთ დროს ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა მავალებდა ახლოს ვყოფილიყავი ეკონომიკასთან და გავაანალიზე, თუ რამდენი მანეთის პროდუქციას აწარმოებდა საქართველო და რამდენს მოიხმარდა თვითონ. გამოირკვა, რომ ყოველი სამი მანეთიდან, რომელსაც რესპუბლიკა მოიხმარდა, ჩვენი წარმოებული იყო მხოლოდ ორი მანეთი, ე. ი. ვაწარმოებდით მხოლოდ ორ მესამედს. ეს ისე, სხვათა შორის, იმის აღსანიშნავად, თუ როგორ „გვძარცვავდნენ".

დაიწყო მთელი ეროვნული სიმდიდრის ძარცვა-განიავება. სულ რაღაც წელიწადნახევარში დაცარიელდა ხაზინები და მარნები, ქარხნებმა და ფაბრიკებმა შეწყვიტეს მუშაობა. დაინგრა და დაიშალა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შედეგად მივიღეთ ქაოსი, დაუთესავი ჰექტარები, გაჩეხილი და ამოძირკვული, წლობით ნალოლიავები მრავალწლიანი ნარგავები. განიავებულია მეცხოველეობა და მეფრინველეობა, დამშეულია ხალხი.

ეკონომიკური ცხოვრების დონის მიხედვით საქართველო დღეს ყოფილ საბჭოთა კავშირში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. ნგრევასთან ერთად დაიწყო ქვეყნის სიმდიდრის საზღვარგარეთ გაზიდვა.

მესამე, და, ჩემი აზრით, მთავარი უბედურება, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უნდა „ვუმადლოდეთ", ეს გახლავთ საკადრო პოლიტიკა.

ისეთ განუკითხაობას, რაც ამ საკითხში დაამკვიდრეს, ძნელად თუ მოეძებნება პრეცედენტი, თუნდაც, ჩვენზე ბევრად უფრო ნაკლებადგანვითარებულ ქვეყნებში. ხელისუფლების არა მარტო საკვანძო უბნებზე, არამედ დიდად თუ ნაკლებად ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ცენტრსა თუ ადგილებზე, დანიშნეს ეროვნული მოძრაობიდან მოსული ადამიანები, რომელთა უდიდესი უმეტესობა გამოუცდელი, ზოგჯერ კი უსწავლელი და გაუნათლებელი იყო. ძირფესვიანად მოიშალა მმართველობის სისტემა. სხვათა შორის, ამ კადრების უმრავლესობა დღესაც ხელმძღვანელ თანამდებობებს ინარჩუნებს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, სამინისტროებში, უწყებებში, ქარხნებში, გამგეობებში. მათ შეძლეს და მოიპოვეს მონოპოლიები მოზღვავებულ ახლად შექმნილ ფირმებსა, კორპორაციებსა და კონცერნებში, რომლებიც თითქმის მთლიანად წარმართავენ ჩვენს ეკონომიკას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით, არამედ პრაქტიკულადაც.

მოძრაობა, რომელმაც შვა „მრგვალი მაგიდა", დაამკვიდრა გამსახურდიას რეაქციული რეჟიმი, არ შეიძლება ეროვნული იყოს. მოძრაობას, რომელმაც შექმნა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები, მოსპო, გააპარტახა და გაძარცვა ერის ეკონომიკა და კულტურა, არ შეიძლება, ეროვნული ეწოდოს. მოძრაობა, რომელმაც ერი ზნეობრივად გაანადგურა, ოჯახი ორად გახლიჩა და იარაღით დაუპირისპირა ერთმანეთს, არ შეიძლება ეროვნული ერქვას. ეს მოძრაობა, თავისი არსით, მიზნებითა და ბრძოლის ფორმებით ფაშისტურია და ამიტომაც ისტორიაში შევიდა, როგორც „პროვინციული ფაშიზმი".

და ამის მიუხედავად, კვლავ გამოჩნდნენ ქუჩაში ნაცნობი სახეები და სახელები. პირდაპირ ვაცხადებ: მათ არ ამოძრავებთ ეროვნული იდეები, მათ გულზე არ აწერიათ ქვეყნის ბედ-იღბალი. ისინი ხელახლა იმისათვის ამოძრავდნენ, აფორიაქდნენ, რათა შეეცადონ დაფარონ, მიაფუჩეჩონ, პოლიტიკური ელფერი მისცენ თავიანთ დანაშაულებრივ მოქმედებებს, რისი მხილების საშიშროების წინაშეც აღმოჩნდნენ.

— რესპუბლიკის პარლამენტზე საუბარი დღეს ადვილიც არის და რთულიც. ადვილი იმიტომ, რომ მის საქმიანობას ყველა ხედავს, ხოლო რთული იმიტომ, რომ ამ საქმიანობაში მრავალი დაფარული წყალქვეშა დინების შემჩნევა გარეშე თვალისათვის თითქმის შეუძლებელია. გთხოვთ შეფასება მისცეთ პარლამენტის დღევანდელ საქმიანობას, მის პერსპექტივებს, როგორც პარლამენტის წევრმა და მისმა ყველაზე დი ფრაქციის — „თანხმობის" ხე მძღვანელმა.

— პარლამენტის საქმიანობაშ როგორც მზე წყლის წვეთშ აისახება მთელი ჩვენი დღევ დელი ცხოვრების სირთულე როცა განუკითხაობა და ქაო მძვინვარებს, როცა კაცი პა ლამენტარი მანდატის თ [illegible] და მთელი ქვეყნის საგონებელში ჩაგდებს იგივ [illegible] დება მუშტი-კრივს და საანგა ტოდ აქცევს ხელისუფლების ორგანოს, ქვეყნის სინდისსა და ტიონსენგს რომ უნდა წარმოა გენდეს.

მთლიანად თუ შევაფასებთ პა ლამენტის მუშაობას, მიმაჩნი რომ იგი ჯერ კიდევ შორს არ სიბრძნისა და დარბაისლობისგა

ამ ახლაც, ოპოზიციამ აიკვ ტა სახელმწიფოს მეთაურისათვ საგანგებო უფლებების ჩამორ მევა და საგანგებო რეგლამენ სესიის დაუყოვნებლივ მოწვე პირდაპირ საჭიროებულია: ო წლის მანძილზე პარლამენტ ორასამდე სხდომის დიდი ნაწი წყლის ნაყვაა და ქარაფშუტ დავას მოვანდომეთ, ახლა კი, თ რომ ნუ იტყვით, ერთი სასწრაფ რეგლამენტი სესია დაგვკლება. რაც შეეხება სახელმწიფოს მეთ ურისათვის უფლებების შეზღუდ ვას, ჩვენი ოპოზიციისაგან მთლ ანად განსხვავებული მოსაზრ გვაქვს — პირიქით, სახელმწიფ მეთაურს სწორედ რომ არ ჰყ ფნის რეალური უფლებები. მი ღებული ბევრი უფლება სიმბ ლური აღმოჩნდა, ბევრს კი გა ნტებიც არ გააჩნია. ახლა, რ გორც არასოდეს, საჭიროა სახ ლმწიფოს მეთაური შევაიარაღ ყოვლისმომცველი, რეალური ძლიერი უფლებებით.

ჩვენი პარლამენტის ტრაგე მარტო შინაგანი დაპირისპირე ბით, მისი სიჭრელით, არაკვალ ფიციურობითა და არაპროფესი ნალობით როდია განპირობებუ მასზე უარყოფით გავლენას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიებსა და მოძრაობებში

პრესაში გამოქვეყნდა „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დოქტრინა", რამაც მკითხველთა ინტერესი გამოიწვია. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა პარტიის ლიდერს ბ-ნ გიორგი ჭანტურიას და სთხოვა პასუხი გაეცა დოქტრინის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

გიორგი ჭანტურია:

მაფია თვით კოლუმბიასაც კი აღარ მართავს

— რა მიზანს ისახავს თქვენი პარტიის დოქტრინის გამოქვეყნება?

— საქართველოს დღევანდელი მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ის, რომ არა გვაქვს სახელმწიფო დოქტრინა, ურომლისოდაც სახელმწიფოს მშენებლობა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელია. დოქტრინაში ხუთი ძირითადი საკითხი გამოყოფილი. საქართველოს ხუთი კი არა, შეიძლება ასი პრობლემაც აწუხებს, მაგრამ ჩვენ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვყავით. პირველი, ეს არის ჩვენი ზნეობის საკითხი, რომელსაც როგორც ქვეყნის, ისე ახალი თაობის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაუკავშირებდა და უკავშირებს დღეს მართლმადიდებელ ეკლესიას. ჩვენ გახლავთ მსოფლიოს ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის სრულუფლებიანი წევრი. სხვათა შორის, ამის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა წერილი, როცა მსოფლიო ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის პრეზიდენტმა ბატონმა ემილიო კოლომბომ სახელმწიფოს მეთაურს მადლობა გადაუხადა [illegible] მხარდაჭერისათვის, იმ კონკრეტული იდეის მხარდაჭერისათვის, რომელიც ითვალისწინებს [illegible] კრატიის წიაღში შევიტანეთ ეროვნული ქრისტიანული იდეა, რომელსაც თეოდემოკრატია ეწოდება. ეს არის დასავლურ ქრისტიანულ-პოლიტიკურ გამოცდილებასთან დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველოს სულიერი გამოცდილების ერთგვარი სინთეზი. ამ მიმართულებით პირველ აუცილებელ ნაბიჯად მიგვაჩნია სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადება, ეკლესიის როლის გაზრდა და მისი, როგორც სულიერ საკითხებში უმაღლესი ინსტანციის, უფლებების აღიარება. დოქტრინაში, ბუნებრივია, ამაზე გვაქვს საუბარი.

უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც ყურადღებას ამახვილებს ჩვენი დოქტრინა, არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

— შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა აფხაზეთის დაბრუნება პოლიტიკური გზით?

— ჩვენ არა ვართ აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური გზით მოწესრიგების წინააღმდეგი, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ამ გზით პრობლემების გადაჭრა ნაკლებად რეალურია. მოლაპარაკების პროცესს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ შემდეგი გამართლება: ეს არის ჩვენი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის კიდევ ერთი დაფიქსირება, ერთგვარი დროის მოგება სახელმწიფოებრივი მშენებლობის დაჩქარების მიზნით. მაგრამ, ბუნებრივია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ პრინციპული კომპრომისები არ უნდა დაუშვას. თუკი ყოველივე ეს შედეგს არ მოიტანს, ბუნებრივია, საქართველომაც ისე უნდა გადაწყვიტოს თავისი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, როგორც ამას ნორმალური და დემოკრატიული ქვეყანა გადაწყვეტს, მაგრამ ამისათვის საჭიროა სახელმწიფო, რომლის საფუძვლებიც უმოკლეს ვადაში უნდა ავაშენოთ.

— როგორც ცნობილია, თქვენ მხარს უჭერთ საქართველოს ადმინისტრაციულ მხარეებად დაყოფას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქართველო ფედერაციული რესპუბლიკა უნდა იყოს?

— იმის მიუხედავად, რომ ფედერაციის იდეის დიდი აპოლოგეტი არასდროს ვყოფილვარ, ალბათ, სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ამ იდეაზე, რათა მისი საშუალებით მოვახერხოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. აფხაზების, ოსების, სხვათა [illegible] მტკიცე ორგანიზებული, დისციპლინირებული ქართული არმია, ქართულად მოაზროვნე და ქართულად მოლაპარაკე მინისტრი, პატიოსანი და პროფესიონალი გენერალიტეტი, და საერთოდ, თუ ჩვენს უკან არ იქნება ქართული სახელმწიფო. მოლაპარაკების პროცესში უხილავი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი არგუმენტი ეს არის სახელმწიფო, სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ძალა.

— ბატონო გიორგი, რას იტყოდით ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევაზე?

— ჩვენს დოქტრინაში დიდი ყურადღება ეთმობა მაფიასთან, კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებს. ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად და ბოლომდე მხარს ვუჭერთ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პირადად მინისტრს შოთა კვირაიას, რომლის გამარჯვებასთან, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული სახელმწიფოს გადარჩენის შესაძლებლობა. მაგრამ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული მაფიის წინააღმდეგ ბრძოლას შინაგან საქმეთა სამინისტრო ე. წ. პოლიტიკური სახურავის უქონლად ვერ შეძლებს. სიამოვნებით მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენს მინისტრს ბოლომდე ესმის ეს და სერიოზულად ფიქრობს ამ მიმართულებით.

— რას იტყვით ქართული მაფიის შესახებ?

— დანაშაული ყველა ქვეყანაში ხდება და როგორი კარგი საქართველოც უნდა ავაშენოთ, ალბათ, ჩვენთანაც მოხდება. მაგრამ მაფია რომ სახელმწიფოს მართავდეს, ამის უკანასკნელი პრეცედენტი კოლუმბიაში მედელინის კარტელი იყო. დღეს ესკობარი უკვე მკვდარია, კარტელი განადგურებულია და თვით კოლუმბიასაც კი აღარ მართავს მაფია. სახელმწიფო მაფიის უკანასკნელი ბასტიონი მთელ დედამიწაზე მხოლოდ საქართველოა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მაფია ბევრ ქვეყანაში არსებობს და ძალიან ბევრი ქვეყნის მთავრობებს სერიოზული პრობლემები აქვთ ამასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს მაინც ასეტანი მოვლენაა საქართველოსგან განსხვავებით, სადაც მაფია პირდაპირ მართავს ქვეყანას და ყველაფერს თავის ხელში იღებს. საპარლამენტო კომისიის შექმნა, შსს-ს ერთგვარი რეორგანიზაცია, რაზეც კვირაია ფიქრობს, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, მაფიასთან საქმით და არა სიტყვით ბრძოლა გადაგვირჩენს ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

— რა გზა უნდა აირჩიოს საქართველომ რუსეთთან ურთიერთობაში?

— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს ვრცლად ვეხებით დოქტრინაში. ვემხრობით რუსეთთან მჭიდრო თანასწორუფლებიან და ღირსეულ თანამშრომლობას. კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ანტირუსული ისტერიისა, ისევე როგორც მონური კუდის ქიცინისა და ფსევდო იერემია წინასწარმეტყველის მსგავსი დამოკიდებულებისა რუსეთთან. კომპრომისი მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როცა ის დიდ მიზანს, ამ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის იდეას ემსახურება. თუკი სახელმწიფოებრიობაც კომპრომისის ობიექტად ვაქციეთ, უფრო დიდს რას გვთავაზობენ ნეტავ? ნამდვილი იერემია წინასწარმეტყველი თავის ერს იმიტომ მიმართავდა, რომ მან ვადებიც იცოდა, შედეგიც და ღმერთთან პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა. არა მგონია ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ ან ვადები იცოდეს, ან შედეგებზე ფიქრობდეს, ღმერთთან მის შესაძლო კონტაქტზე რომ არაფერი ვთქვათ.

— ეკონომიკის გაუჯანსაღებლად არ არსებობს პოლიტიკა. რა პერსპექტივები გვაქვს ამ მხრივ?

— ერთ-ერთი ძირითადი, რაც გვაწუხებს და დოქტრინაში პირველ პროგრამად არის გამოტანილი, ეს არის ჩვენი ეკონომიკური საკითხი. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ხსნა ეკონომიკურ რევოლუციაშია, რაც მრავალ ასპექტს გულისხმობს. ეს არის ახალი აზროვნების, ახალი მენტალიტეტის ადამიანების მოსვლა ხელისუფლებაში, რომლებიც სოციალიზმის დამღით არ არიან დადაღული. ეს ნიშნავს რადიკალური რეფორმების გატარებას და პოპულიზმზე ხელის აღებას. (ჩემი აზრით, პოპულიზმი იყო მთავრობის მხრიდან ყორღანაშვილის ასევე პოპულისტურ აქციაზე რეაგირება, — ფასების ლიბერალიზაციის გადატანა 13 რიცხვისათვის).

უპოვართა დასაცავად უნდა შეიქმნას სოციალური მექანიზმი. მაგრამ ყველაფერი ის, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გვირჩია, ფასების ლიბერალიზაციით დაწყებული, უნდა განვახორციელოთ, რათა უმოკლეს ვადაში გამოვიყვანოთ ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან და ხალხს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მივცეთ. დემაგოგია და პოპულიზმი რეფორმების ცუდი მრჩევლები არიან. აუცილებელია ეკონომიკური რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ე. წ. ქართულ-დასავლური მექანიზმის შექმნა, რაზეც დაწვრილებით ვსაუბრობთ პარტიის დოქტრინაში. ამ იდეას დასავლური გავლენიანი წრეების გარკვეული მხარდაჭერა აქვს.

— წელს სრულდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლის სპირიდონ კედიას დაბადების 100 წლისთავი. როგორ შეფასებას მისცემდით თქვენ, — ედპ-ს თავმჯდომარე, — სპირიდონ კედიას მოღვაწეობას?

— სპირიდონ კედიას, ამ ცნობილი მოღვაწის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარეც მე გახლავართ.

სპირიდონ კედიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მაშინ მოუწია (მე-20 საუკუნის დამდეგს), როცა საქართველოში მარქსიზმის იდეები იყო გაბატონებული. და ეს პარადოქსული იყო: საქართველო აგრარული ქვეყანა გახლდათ თავისი ძლიერი გლეხობით, კერძომესაკუთრული ტრადიციებით და ახლადწამოჩიტული ბურჟუაზიით, აგრეთვე ძლიერი კლერიკალური ფენით; ასეთ ინტელიგენტურ ქვეყანაში მუშათა მოძრაობის გაშლა და მარქსისტული იდეოლოგიის წარმატება ერთი შეხედვით მართლაც წარმოუდგენელი ჩანდა. მაგრამ თავად სოციალისტები არ იყვნენ ერთგვაროვანი. თუკი სოციალ-დემოკრატები ანტიეროვნულ პოზიციებზე იდგნენ და ყოველგვარი ეროვნულისადმი ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილი, სოციალისტ-ფედერალისტები უფრო ეროვნულ პოზიციებზე იდგნენ და ერთგვარი მორცხვობით, მაგრამ მაინც ცდილობდნენ ეროვნული ინტერესების დაცვას. საჭირო იყო ჭეშმარიტად ეროვნული და არასოციალისტური პარტიის დაფუძნება და ეს მისია ღმერთმა, მის სხვა თანამოაზრეებთან ერთად, სპირიდონ კედიას არგუნა. სწორედ სპირიდონ კედიას უნდა აღესრულებინა ისტორიული მისია და ილია ჭავჭავაძის ეს ნაფერებ-ნალოლიავები იდეა რეალობად ექცია. ეროვნული დემოკრატების პირველი ჯგუფები უკვე 10-იან წლებში გამოჩნდნენ საქართველოში. 1912-1915 წლებში მათ დაიწყეს ქუთაისში გაზეთ „იმერეთის", ოდნავ მოგვიანებით კი, თბილისში ჟურნალ „კლდის" გამოცემა. ამის პარალელურად ემიგრაციაში ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკოსთა მძლავრი ბირთვი, რომელიც საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის სახელით გაფორმდა. ეს დიდი მრავალწლიანი მუშაობა დაგვირგვინდა 1917 წლის 4-20 ივნისს, როცა თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი დამფუძნებელი ყრილობა, სადაც თავმჯდომარედ აირჩიეს დახვეწილი ინტელიგენტი, მშვენიერი პუბლიცისტი, ნიჭიერი ორატორი და კარგი ორგანიზატორი სპირიდონ კედია.

იგი დაიბადა ზუგდიდში. განათლება მიიღო საფრანგეთში — სორბონაში. იყო პოლიტიკური პატიმარი. ჰქონდა აღზევების ტკბილი პერიოდიც და დამარცხების სიმწარეც. არც საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შეუწყვეტია აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა ემიგრაციაში. ეს მოღვაწეობა ატარებდა არამარტო პუბლიცისტურ, არამედ ორგანიზაციულ ხასიათსაც. დღეს სპირიდონ კედიას საიუბილეო თარიღის აღნიშვნა არის არა მხოლოდ ვალის მოხდა ამ დიდი და უმადურობით გულგატეხილი პიროვნებისადმი, არამედ მთლიანად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უაღრესად მნიშვნელოვანი როლისა და ღვაწლის ღირსეული დაფასება. ბუნებრივია, ჩვენ, როგორც ძველი ეროვნული დემოკრატების მემკვიდრენი, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ღირსეული წინაპრის საიუბილეო თარიღი სათანადოდ აღინიშნოს.

ესაუბრა
მზია გელენავა.

სურათზე: ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენცია ჩილეში, 1994 წლის იანვარში. გიორგი ჭანტურიას გამოსვლა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მაფიისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გამოცხადებულმა ბრძოლის მეორე ეტაპმა, მოსვენება დაუკარგა მრავალ რბილ სავარძელში მოკალათებულ პიროვნებას. ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი პარლამენტარი, როგორც „უმრავლესობის", ასევე ოპოზიციის ბანაკიდან, ხელმოწერებს აგროვებს შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას გადაყენების მოთხოვნით. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხარს უჭერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის აუცილებელ ღონისძიებებს და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მოუწოდებს, არ დააკმაყოფილოს ეს უკანონო მოთხოვნა.

მხარს უჭერენ პოლიციას

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელშიც მოუწოდა რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას, თითოეულ მოქალაქეს მხარში ამოუდგნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის ხელმძღვანელობას მაფიურ-კრიმინალური კლანების წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში.

დედაქალაქის პრობლემები

„თბილისის მეტროპოლიტენმა არ შეიძლება, არ იმუშაოს..."

ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით გაიზარდა თბილისის მეტროპოლიტენის როლი. დღეს უმისოდ წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ცხოვრება. ახლახან, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან მეტროპოლიტენის დაფინანსების შესახებ.

— უკვე ორი წელიწადია, — ამბობს თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი გურამ გაბუნია, — ცალკეულ ძრავებს, კომპრესორებს, ზოგიერთ მაკომპლექტებელ დეტალს მეტროს საჭიროებებისათვის ამზადებენ რესპუბლიკის საწარმოებში, მაგრამ ეს ჩვენთვის საჭირო ასორტიმენტის სულ მხოლოდ 6-7 პროცენტია. უწინ საჭირო კვანძებს, აგრეგატებს 300 მომწოდებლისაგან ვიღებდით, ყოფილი კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის ვალუტის, კერძოდ, რუსული რუბლის უქონლობა ზღუდავს საჭირო ტექნიკის პირდაპირი შესყიდვის შესაძლებლობას.

— თბილისის მეტროპოლიტენის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ზამთრის პერიოდში. როგორ მიმდინარეობს მზადება ამ მიმართულებით?

— დღეს მეტროს დღე-ღამეში საშუალოდ გადაჰყავს ხუთასი ათასი ფასიანი მგზავრი. დატვირთვა კიდევ უფრო გაიზრდება სიცივის პერიოდში. ამიტომ ვცდილობთ გადავჭრათ ჩვენთვის მთავარი პრობლემები — როგორც გავაუმჯობესოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, უზრუნველვყოთ ელექტროენერგიით, მოვაგვაროთ კადრების დამკვიდრებასთან დაკავშირებული საკითხები. ამ თვალსაზრისით უკვე შედგენილია „საქენერგოსთან" ერთობლივ ღონისძიებათა კომპლექსი. შევეცდებით მომდევნო პერიოდშიც შევინარჩუნოთ მეტროს მუშაობის ახლანდელი რეჟიმი — დილის 6 საათიდან 24 საათამდე.

— როგორც ჩანს, ახლანდელი რეალური პირობების გათვალისწინებით ლაპარაკი არ შეიძლება თბილისის მეტროს ახალი სადგურების მშენებლობის სამუშაოთა განგრძობაზე?

— დღეს საქმე ეხება მეტროს ახალი სადგურების ასაგებად უკვე გაკეთებულის შენარჩუნებას.

მსოფლიოში ყველა მეტროპოლიტენი დოტაციურია. მათ შორის თბილისის მეტროპოლიტენიც. ამიტომ არა გვაქვს ინვესტორებისა და სპონსორების გაჩენის განსაკუთრებული იმედი. გვაიმედებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა განცხადება, რომლებიც გაეცნენ ჩვენ სიძნელეებს. წლის დამლევამდე ისინი აპირებენ გადადგან [illegible] პრაქტიკული ნაბიჯები თბილისის მეტროს რიგი სერიოზული პრობლემების გადაჭრაში დახმარების გასაწევად.

ზურაბ გრძელიშვილი,
საქინფორმის კორ.

აზრი

ვხედავთ ჩვენს ისტორიულ დანიშნულებასა და მიზანს

დენს, და ძალიან დიდსაც, ხელმძღვანელთა უპრინციპობა, არაორგანიზებულობა, გადაჭარბებული, ზოგჯერ ყალბი ლიბერალიზმი.

პარლამენტის დაბალი ნაყოფიერება ბევრად განსაზღვრა კომისიათა უმრავლესობის უსუსურმა მუშაობამ. ისინი პარლამენტს ან არაფერს სთავაზობენ, ანდა სთავაზობენ იშვიათად და ისიც მოუმზადებელ, გაუაზრებელ, [illegible] პროექტებს.

სპიკერი დიდი, ნაყოფიერი კანონშემოქმედებითი მუშაობისთვის არაა მოწოდებული. მას ამ მიზნისათვის ორი მოადგილე და უზარმაზარი აპარატი ჰყავს. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მათი ერთობლივი მოღვაწეობა თითქმის უნაყოფოა, ვინაიდან თითოეულ მათგანს ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული, თითქმის რადიკალურად დაშორებული, უმთავრესად კი დაპირისპირებული მიზნები ამოძრავებს.

მიმაჩნია, რომ სპიკერმა ვერ შეძლო მოადგილეების ხელმძღვანელობა, მოადგილეებმა ვერ შეძლეს სპიკერის მოადგილეობა.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ პარლამენტს ჰყავს ჯანსაღი ნაწილი, რომელიც დემოკრატიული გარდაქმნების მომხრეა. ისინი სახელმწიფოს მეთაურს უჭერენ მხარს, მათ შორის არის ფრაქცია „თანხმობაც". სწორედ პარლამენტის ამ უმრავლესობამ გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის ბედი. მათი ძალისხმევით შეგვექმნა სამოქალაქო ომის დამთავრების, სამეგრელოს რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პირობები და მრავალი სხვა. ხოლო რაც შეეხება პარლამენტის დაშლას, მიმაჩნია: ეს სწორი არ იქნებოდა. ეს იქნებოდა „მრგვალი მაგიდის" და ოპოზიციის წახალისება, დახმარება და მხარდაჭერა მათი ანტიეროვნული მიზნების განხორციელების გზაზე. პარლამენტს, ჩემი აზრით, ბუნებრივი სიკვდილი უნდა ვაცალოთ.

ჩვენი პარლამენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად მიმაჩნია ნორმალური სადეპუტატო სტატუსის უქონლობა. პარლამენტს უნდა ჰქონდეს იმის იურიდიული უფლება, რომ პარლამენტარი ერის ღალატის, ამომრჩევლებისა და ფიცის შეურაცხყოფის, [illegible] მოვალეობის შეუსრულებლობის, [illegible] აღების, ზნეობრივი [illegible] მიუტევებელი სხვა დანაშაულისათვის, განდევნილი იქნეს პარლამენტიდან.

ჩვენი ფრაქციის ამჟამინდელი უმთავრესი საზრუნავია პარლამენტის თვითგანწმენდა და სრულყოფა, რასაც ემსახურება, კერძოდ, თუნდაც ჩვენი მომზადებული პროექტი საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის თაობაზე საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

პარლამენტის ერთ-ერთ უმთავრეს და გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია კანონშემოქმედებითი მუშაობის მკვეთრი გააქტიურება. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისათვის სამიოდე, ჩვენი ყოფისათვის აუცილებელი და ფუძემდებელი კანონი რომ მიგვეღებინა, როგორც იტყვიან, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფს.

— მაინც, რომელი კანონები გაქვთ მხედველობაში?

— უპირველესად ყოვლისა, ხელისუფლების ისეთი კანონი, რომლის ძალითაც დამნაშავე აუცილებლად გამოვლინდება და აუცილებლად დაისჯება.

დაუსჯელობის ყოვლისმომცველმა ატმოსფერომ საქართველო დამნაშავეთა სამყაროს დაამსგავსა. ყველგან ტერორი მძვინვარებს. მაფიამ ხელში ჩაიგდო სასიცოცხლო მნიშვნელობის პოზიციები. პირწმინდად გაიფლანგა სახელმწიფო ქონება, პასუხს კი არავინ აგებს. დაუსჯელია თითქმის ყველა ტერორისტი, მაფიის ყველა ლიდერი და მათი მფარველი. ხელშეუხებელია სახელმწიფო სესხითა და ფინანსური მაქინაციებით გამდიდრებული თითქმის ყველა პარტია და მათი ლიდერები.

მეორე, მიგვაღებინა ხელისუფლების ისეთი კანონი, რომლის ძალითაც უმალ მოიკვეთება უკანონო შეიარაღებული რაზმები და მათი თავსგასული მოთავენი.

ჩვენში ხშირად გაისმის, საქართველოში მოსალოდნელის სომალიზაცია ან ლიბანიზაცია. ეს ნიშნის მომგები, ბოროტი და გამაღიზიანებელი ხმებია მხოლოდ. მე უფრო საშიშად და რეალურად მესახება (თუ დროზე არ მივიღებთ მკაცრ, გადამჭრელ ზომებს) ქვეყნის კოლუმბიიზაცია, როცა ქვეყანას ათობით წლის მანძილზე სწორედ მაფია და მაფიური კლანები მართავენ.

მესამე, ქვეყანას ძალიან სჭირდება ერთი გონივრული კანონი ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ვიცე-პრემიერი თუ მინისტრი, მერი თუ გამგებელი დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს, სანამ ბოლომდე გაფუჭდებოდეს საქმე. შეიცვალოს მხოლოდ საქმით დაინტერესებული, მცოდნე, პატიოსანი და უნარიანი კადრებით, იმის განურჩევლად, თუ რომელი პარტიის წევრია და რომელ ეკლესიაში ლოცულობს.

— თქვენ, საკმაოდ ხატოვნად თქვით, პარლამენტს ბუნებრივი სიკვდილი უნდა ვაცალოთო. ეს დრო შორს აღარ არის. რა კეთდება თქვენს ფრაქციაში მომავალი არჩევნებისათვის? რას უნდა ველოდოთ, ხვალ რომ არჩევნები იყოს?

— თუ ბოლოდან დავიწყებდით, თქვენ კითხვაზე ასე ვუპასუხებდი: ხვალ რომ არჩევნები იყოს, ის ჩაიშლებოდა. ჩაიშლებოდა იმიტომ, რომ არჩევნებისათვის მზადება იწყება (ყოველ შემთხვევაში, უნდა იწყებოდეს) არა ერთი თუ ორი დღით ადრე არჩევნებამდე, არამედ რამდენიმე წლით ადრე, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება. არჩევნებისთვის აუცილებელი პირობები შეიქმნება, უკეთეს შემთხვევაში, მერმის შემოდგომისათვის. ამაში ვგულისხმობთ აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში ქართველი მოსახლეობის უცილობელ დაბრუნებას, საქართველოს იურისდიქციის აღდგენას.

ეს მთავარი პირობაა, თუმცა არა ერთადერთი. აუცილებელი პირობა იქნება აგრეთვე დამნაშავეთა სამყაროს იმდენად საიმედოდ ალაგმვა, რომ მათი გავლენა არჩევნებზე ნულს გაუთანაბრდეს. უამისოდ არჩევნების მოწყობა უგუნურობა იქნებოდა. მესამე პირობა კი გახლავთ ის, რომ პარლამენტის არჩევნებს წინ უნდა უსწრებდეს ადგილობრივი არჩევნები.

მომავალი პარლამენტის ბედიღბალი, მისი სიბრძნე, ორგანიზებულობა, ერის ინტერესების ერთგულება, იმის გარანტიაც, რომ პარლამენტში აღარ აღმოჩნდება კომბინატორი, დემაგოგი და ავადმყოფი, ბევრად იქნება დამოკიდებული ადგილობრივი ადმინისტრაციების გონივრულ მუშაობასა და ეროვნულ დაინტერესებაზე, ხალხის განწყობასა და ჯანსაღ კლიმატზე.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება მომავალ არჩევნებში პოლიტიკურ ძალთა და პარტიათა თანაფარდობა?

— მომავალ არჩევნებზე დიდი გავლენა ექნება პერსონალურ ფაქტორს. იმ გარემოებამ, რომ ორივე თავისუფალი არჩევნები (მხედველობაში არა მაქვს პრეზიდენტის არჩევნები) მკაცრად პერსონიფიცირებული იყო, უკვე შექმნა ტრადიცია. ხომ ცნობილია, რომ პირველ შემთხვევაში ხალხმა ხმა მისცა არა ყველასათვის უცნობ გულბანებს, რცხილაძეებს, პეტრიაშვილებს, ტალიაშვილებს და ა. შ. არამედ ერთ პერსონას — ზ. გამსახურდიას, მეორე შემთხვევაში ე. შევარდნაძე ანქესზე არ წამოეგო და ცალსახად არც ერთ პარტიას არ ჩაუდგა სათავეში, მაგრამ თითოეულმა ამომრჩეველმა მშვენივრად იცოდა — ე. შევარდნაძის მომხრეს აძლევდა ხმას თუ მოწინააღმდეგეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ძნელად თუ მოიძებნება მეორე ქვეყანა, სადაც არჩევნების შედეგებზე ისეთ გავლენას ახდენდეს არჩევნების წესი (მაჟორიტარული თუ პროპორციული), როგორც საქართველოში. უპირველეს ყოვლისა, სწორედ საარჩევნო კანონმა განაპირობა ის გარემოება, რომ ორივე ჩვენს პარლამენტში უმთავრესად თავი მოიყარეს პოლიტიკურად აქტიურმა დილეტანტებმა, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდა ერის პოტენციალის აკუმულირება ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში.

მომავალ არჩევნებში ბევრს ფავორიტად, ალბათ, არც თუ უსაფუძვლოდ, მოქალაქეთა კავშირი მიაჩნია. შედარებით მოკლე პერიოდში კავშირი მართლაც იქცა მასობრივ ორგანიზაციად. მაგრამ თუ არჩევნებამდე ოდნავ მაინც არ გაუმჯობესდა ფართო ფენების ეკონომიკური მდგომარეობა, თუ ხანმოკლე გააქტიურების შემდეგ, კვლავ მდორედ და ნაკლები ეფექტიანობით გაგრძელდა ბრძოლა ქვეყანაში ელემენტარული წესრიგის ასაღდგენად, წინასაარჩევნო კომპანიის მსვლელობაში კავშირის ხელმძღვანელობას გაუჭირდება ოპოზიციურ პარტიებთან დისკუსია.

თუ სწორად ააგებენ წინასაარჩევნო კამპანიის, ცუდი შანსი არ უნდა ჰქონდეთ ეროვნულ-დემოკრატებს. ამასთან, მათ უნდა დაუმტკიცონ მხარდამჭერებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობას სუფთა ხელებით აპირებენ.

რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია უწოდეს, მისი პერსპექტივების პროგნოზისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ პარტიას ჯერ თვითონაც არ უნდა ჰქონდეს რეალურად განსაზღვრული პლატფორმა (პრეტენზიებზე არ ვლაპარაკობ). ამჟამად იგი ხელოვნურ ალიანსს უფრო ჰგავს, ვიდრე პოლიტიკურ პარტიას, რომელიც იმისათვის შეიქმნა, რომ დაუპირისპირდეს პარლამენტში — უმრავლესობას, არჩევნებში — მოქალაქეთა კავშირსა და სხვა პოლიტიკურ ძალებს. ასეთ გაერთიანებებს კი დიდი მომავალი არ უნდა ჰქონდეს.

იგივე, მხოლოდ უფრო მეტი დაბეჯითებით, შეიძლება ითქვას 7 ივლისს „მოვლენილ" კონვენციაზე — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო", რომელსაც უკვე მოაწერეს ხელი ამ დიდად „სახელგანთქმული" და „დამსახურებული" მიმართულების მიმდევარმა და მონათესავე პოლიტიკურმა პარტიებმა და გაერთიანებებმა.

თავისუფალი არჩევნების პირობებში პირველად უჩნდებათ რეალური შანსი კომუნისტებს. ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, აგრეთვე უნგრეთსა და ზოგიერთ სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში გამართულ არჩევნებში კომუნისტებმა თითქმის ყველგან შეძლეს პოზიციების საგრძნობლად განმტკიცება, ენთუზიაზმს, ძალას და ენერგიას მატებს ქართველ კომუნისტებს, ოღონდ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა საქართველოს კომუნისტური იდეოლოგიის პარტიებსა და მიმდინარეობებს შორის გათიშულობა.

ვფიქრობ, ქართველ კომუნისტთა ცხოვრების გამოცდილებამ, ინტელექტმა და ზნეობრივმა სიწმინდემ ახალგაზრდულ ენერგიასთან, სიახლის, პროგრესისაკენ სწრაფვის ორგანულ და ისტორიულ კავშირში, კეთილი და ყოფიერი სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენს ქვეყანას, მასში დემოკრატიული, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. კომუნისტები ამაში ვხედავთ ჩვენს ისტორიულ დანიშნულებას და მიზანს.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საყურადღებოდ

1995 წლის პირველი ნახევრისათვის რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის დაწყებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე, წარმოგვიდგინოთ თქვენი გამოცემის ხელმოწერის ახალი პირობები — გამოცემის დასახელება, ინდექსი, პერიოდულობა, ფასი, ამავე დროს, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხელმოწერის ფასი 6 თვის მანძილზე არ შეიცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრესის გავრცელების ცენტრი უფლებას იტოვებს, არ შეიტანოს საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების კატალოგში 1995 წლის I ნახევრისათვის.

ჩვენი მისამართია: 9 აპრილის ქ. 2, (ყოფილი ჩიტაძის ქ).

პრესის გავრცელების რესპუბლიკური ცენტრი.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ-ტექნიკური
ინსტიტუტის
სპეც. ფაკულტეტი

აცხადებს მიღებას 1994-95 სასწავლო წლისათვის:

1. ხელოვნების განხრით
(ა) ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორიის საკითხები) ბ) თეატრმცოდნეობა გ) კინომცოდნეობა)
2. სამართალმცოდნეობა
(დასწრებული და დაუსწრებელი)
3. ტექნიკური თარგმანი
(ინგლისური და გერმანული ენები)
4. საერთაშორისო ურთიერთობები (ტექნიკურ სფეროში)
(დასწრებული და დაუსწრებელი)
5. წარმოების ორგანიზაცია და ბიზნესი.
(წარმოების ორგანიზაცია და სამრეწველო პროდუქტების საქონელმცოდნეობა; საბუღალტრო აღრიცხვა და კონტროლი, საგარეო ვაჭრობა და მარკეტინგი)
(დასწრებული და დაუსწრებელი)

სწავლა ფასიანია.
საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა, 10-დან 16 საათამდე.
გასაუბრება ჩატარდება 22-23 ოქტომბერს.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ 36-60-78, 36-61-78
მისამართი: კოსტავას ქ. 77, V კორპ. III სართული, ოთახი 304.

თბილისის კინო-ვიდეო
ბიზნესის კოლეჯი

აცხადებს მიღებას 9-11 კლასდამთავრებულთათვის ქართული და რუსული განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:
კინომოწყობილობათა და ვიდეოტექნიკის ექსპლუატაცია;
კინოწარმოების ეკონომიკა და მართვა;
კინოვიდეოქსელისა და კინოვიდეო გაქირავების ეკონომიკა და მართვა;
კინოფესტივალების, კინობაზრობებისა და რეკლამის ორგანიზაცია;
კინოვიდეო შოუ ბიზნესი;
საბუღალტრო აღრიცხვა ბიზნესის სფეროში.
სწავლა 9 კლასდამთავრებულთათვის 3 წელიწადია, 11 კლასდამთავრებულთათვის და მეორე სპეციალობის დაუფლების მსურველთათვის ასაკის მიუხედავად — 2 წელიწადი.
სწავლა ფასიანია, ჩარიცხვა — გასაუბრებით.
საბუთების მიღება — ყოველდღე, კვირის 11-16 საათამდე.
მისამართი:
თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.
ძველი კინოსტუდია, კინომსახიობთა თეატრის [illegible] აში.
ტელ: 34-07-86.

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

მეთერთმეტე კლასელებისათვის და სკოლადამთავრებულთათვის, აცხადებს მიღებას მოსამზადებელ განყოფილებაზე 1994-95 სასწავლო წლისათვის.
საბუთები უნდა წარმოადგინოთ 10-დან 20 სექტემბრამდე.
დამატებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე — თბილისი, კოსტავას 77, მე-5 სასწავლო კორპუსი, მე-3 სართული, ტელ: 36-06-22.

კონკურსი
„საქართველო - დიდი ბრიტანეთი"

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 11-16 წლამდე ასაკის მოსწავლეებს. გამარჯვებულები უფასოდ, ვიზის თანხლებით, გაიგზავნებიან ინგლისში, ქალაქ ჰასტინგსში ერთი თვით ინგლისური ენის შემსწავლელ სპეციალურ კურსებზე.
განცხადებები კონკურსში მონაწილეობისათვის მიიღება ყოველდღე 11-დან 15 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.
მისამართი: აკურის ქუჩა №8, გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი. II სართული, ოთახი 234, სპორტის სასახლის უკან.
კონკურსის ორგანიზატორია ფირმა „ლემა".
ტელეფონები: 36-73-71, 36-46-51, 93-85-37.

English Language Center
აცხადებს მიღებას ინგლისური ენის შემსწავლელ ინტენსიურ კურსზე
მაღალკვალიფიციური სპეციალისტი რვა კვირის განმავლობაში უახლესი სახელმძღვანელოებისა და მეთოდების გამოყენებით. მოვამზადებთ
TOEFL და Pre-TOEFL ისათვის,
აგრეთვე გთავაზობთ სალაპარაკო ინგლისურის შესწავლის საუკეთესო შესაძლებლობას.
მეცადინეობები ჩატარდება კვირაში ხუთჯერ, 3-3 საათის განმავლობაში (საბურთალოზე, მეტრო "სამედიცინო ინსტიტუტთან" და ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე).
ცნობისათვის დარეკეთ ყოველდღე, 11-19 საათამდე.
ტელ: 95-61-23

ინფორმაცია

„გვიგულეთ თქვენს გვერდით...“

ქართველმა საზოგადოებრიობამ ამ ცოტა ხნის წინათ გულისტკივილით შეიტყო თბილისელი მანდილოსნის ლია ჭოველიძის მხეცური მკვლელობის ამბავი.. ქალბატონი ლია 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამრიკო ჭოველიძის დედა გახლდათ. არკადი ჭოველიძემ — მრავალდარგოვანი საწარმოო ფირმის „მერმესის“ დირექტორის მოადგილემ — თითქმის ერთიმეორის მიყოლებით დაკარგა ერთადერთი ქალიშვილი თამრიკო, რომელიც მამის მიერ რესტავრირებულ წმინდა ნინოს ეკლესიაში განისვენებს, და ერთგული მეუღლე.

ტელეგადაცემიდან შეიტყო ამ მკვლელობის ამბავი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-კონსულმა კრისტოფერ დანეტმა, რომელსაც პატივი ჰქონდა ქალბატონ ლიას დაღუპვამდე გასცნობოდა ჭოველიძეების სტუმართმოყვარე ოჯახს, სწვეოდა მათ. ბატონმა დანეტმა თანაგრძნობის დეპეშა გამოუგზავნა არკადი ჭოველიძეს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჩემი და მთელი საკონსულოს თანამშრომელთა სახელით მსურს გამოვხატო დიდი წუხილი თქვენი საყვარელი მეუღლის დაღუპვის გამო.

ვიზიარებთ იმ დიდ მწუხარებას, რომელიც თქვენ და თქვენს ოჯახს დაატყდა თავს. ამ მძიმე წუთებში, გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი და გვიგულოთ თქვენს გვერდით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი მეუღლის სული“.

კრიმინალური ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ტრანსპორტზე კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო საავიაციო საწარმოდან ფერადი ლითონების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე.

წინასწარი გამოძიებით დგინდება, რომ 1992-1993 წლებში სახელმწიფო საავიაციო საწარმოში დაიტაცეს 132 ტონა ფერადი ლითონი. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა იმ პერიოდის ფასებით ასეულობით მილიონი რუსული მანეთი.

გამოძიების პერიოდში ჩამორთმეულია 5 ტონა ტიტანი, 2½ ტონა ტყვია — თუთიის ტვიფრები, 200 კილოგრამამდე ვოლფრამ-მოლიბდენის შენადნობი.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით დაკავებულია და პასუხისგებაში მიცემულია 15 მოქალაქე.

გარდა ამისა გამოძიებამ ნათელყო ფერადი ლითონების დიდი ოდენობით დატაცების სხვა ფაქტებიც.

რკინიგზის სადგურ ხარაგაულში პოლიციამ დააკავა ტრანსპორტის დეპარტამენტის ვაგონი — დეფექტოსკოპი, რომელშიც აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ფერადი ლითონი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით რესპუბლიკის პროკურატურის ტრანსპორტზე კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ამ ვაგონით რეალიზაციის მიზნით ბათუმში გაჰქონდათ ელმავლების, ელექტროსექციების და დამხმარე მანქანების ელექტროძრავების სპილენძის შემცველი კოჭები.

დაკავების მომენტში ჩამორთმეულია 1742 კილოგრამი სპილენძის შემცველი დეტალები.

გამოძიებით აგრეთვე დადგინდა, რომ იგივე ვაგონით დაკავებამდე გატენილი და რეალიზებული იყო დაახლოებით 8000 კილოგრამი სპილენძის შემცველი დეტალები.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით დაკავებულია 7 მოქალაქე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ 2 მოქალაქე იძებნება.

გამოძიება ორივე ფაქტის გამო გრძელდება, ყველა დამნაშავე წარდგება სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს კანონის სრული შესაბამისობით.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი

ქართული ჯვარი — რიგის საკათედრო ტაძარში

რიგა, 9 სექტემბერი. (საქინფორმის საკ. კორ. გენადი დემეტრაშვილი). რიგის საკათედრო ქრისტიანულ ტაძარში საზეიმო წირვა გაიმართა, რომელიც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კუთხის გახსნას მიეძღვნა. წირვას უძღვებოდა ტაძრის წინამძღვარი ამბროსი. ტაძარში ქართული კუთხე შეამკო ნიჭიერი ქართველი მხატვრის ლიანა მიქიანის ჭედურმა ჯვარმა და ქართულმა ბიბლიამ. ისინი თბილისიდან არის ჩამოტანილი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით.

წირვას დაესწრნენ ლატვიის ქართველთა საზოგადოება „სამშობლოს“ წევრები, სხვა ეროვნების რამდენიმე ათეული მორწმუნე.

წინამძღვარმა ამბროსიმ ახალი, სათვალავით მესამე სასწავლო წელი დალოცა რიგის საკვირაო ქართულ სკოლაში „მერცხალი“.

აქცია ქართული ბალეტის გადასარჩენად

ჩვენი სამაყო მოცეკვავე ნინო ანანიაშვილი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც უნდა იყოს, ნიადაგ რომ საქართველოზე ფიქრობს და ზრუნავს. ეს არაერთხელ დაამტკიცა. ამ მხრივ ნინომ თავისი კოლეგები, მსოფლიო საბალეტო ხელოვნების ასევე აღიარებული ვარსკვლავებიც ამოიყენა მხარში. ნინოსა და მისი მეგობრების ამჟამინდელი სტუმრობა და ოთხი მშვენიერი საღამოს გამართვა ქველმოქმედებით არის ნაკარნახევი.

კვირას, 11 სექტემბერს, პირველი გალა-კონცერტის დაწყების წინ ამის შესახებ ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში თავშეყრილ მრავალრიცხოვან საზოგადოებრიობას შეახსენა ვახტანგ ჭაბუკიანის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტმა ეთერ გუგუშვილმა. მან ცენტრის სახელით მადლობა გადაუხადა ნინოსა და მის კოლეგებს, რომლებმაც გამონახეს დრო და საქართველოს მაშინ ესტუმრნენ, როცა ჩვენს ხალხს უჭირს. მადლობა მოახსენა სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც სიძნელეების მიუხედავად ყველაფერი იღონა, რათა ეს საღამოები გამართულიყო, აგრეთვე თეატრის დირექციას, სპონსორებს, — საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის „უტას“ პრეზიდენტს ბაკურ კილურაძეს. მანვე აღნიშნა, რომ ეს ოთხი საღამო ქართველი ხალხის მეხსიერებაში ჭეშმარიტად დარჩება როგორც მშვენიერებისა და სიკეთის ზეიმი.

ქალბატონმა ეთერმა საზოგადოებრიობას აუწყა, რომ კონცერტები ვახტანგ ჭაბუკიანის საერთაშორისო ცენტრის იგიდით იმართება და პირველი კონცერტის ყველა დამსწრე უნებურად ხდება ამ ცენტრის დამფუძნებელი, რომ 11 სექტემბერს ცენტრი უკავშირებს დიდი მოცეკვავის სახელს. ამიერიდან ეს დღე გამოცხადდება ქართული ბალეტის დღედ. დაწესდება ვახტანგ ჭაბუკიანის პრემიები. ასევე ჩაფიქრებულია მოეწყოს ბალეტის საერთაშორისო კონკურსი და რომ საზოგადოებრიობის მხარდაჭერამ საფუძველი უნდა დაუდოს ჩვენს ცხოვრებაში მშვიდობას, ალმავლობას, სიკეთის დამკვიდრებას და მხოლოდ შენებას.

კონცერტებში ჩვენი თანამემამულეების — ნინო ანანიაშვილის, ირმა ნიორაძისა და იგორ ზელენსკის გარდა მონაწილეობენ ინა დოროფეევა — რეინის გერმანული ოპერის პრიმა ბალერინა, ტატიანა ტერეხოვა და მარგარიტა კულიკი — სანქტ-პეტერბურგის მარინის თეატრის პრიმა ბალერინები, ალექსეი ფადეეჩევი — რუსეთის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი, იური პოსოხოვი, — დანიის სამეფო თეატრის წამყვანი სოლისტი, ვადიმ პისარევი — რეინის გერმანული ოპერის წამყვანი სოლისტი.

საღამოებს უძღვება ბალეტის უპირველეს პროფესიონალად აღიარებული დირიჟორი, დანიის სამეფო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი ალექსანდრე სოტნიკოვი.

პირველივე კონცერტმა ოპერის თეატრში სათავე დაუდო სილამაზის, გრაციის ზეიმს, მაყურებელთა გულწრფელი და ხანგრძლივი ოვაციები მოწმობდა, რომ იგი ჭეშმარიტად საბალეტო დღესასწაულის მოწმე გახდა. კონცერტს ესწრებოდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საღამოს დასასრულ ვახტანგ ჭაბუკიანის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა ეთერ გუგუშვილმა კონცერტის ათივე მონაწილეს გადასცა მხატვარ თენგიზ ტატუნაშვილის მიერ მინანქარში შესრულებული მედალიონები წმინდა გიორგის გამოსახულებით, აგრეთვე სერთიფიკატები „უტას“ საფირმო მაღაზიაში სუვენირების შესაძენად.

რუსუდან მუჯიგულაშვილი.

• • •

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

ჯაზი

„ისინი მუსიკით ცოცხლობენ!“

JAZZ GROUP
ADIO
JAZZ GROUP ADIO
JAZZ FROM GEORGIA
Sa., 05.03.94, 21.00h
Café
im PALLAS
PALLASWIESENSTRASSE 39
DARMSTADT
PALLAS

ქართულ ჯაზ-ჯგუფ „ადიოს“ ყველაზე ნაკლებად საკუთარ სამშობლოში იცნობენ. ამგვარი სინამდვილე კი იმის ბრალია, რომ მათაც იგივე ხვედრი გაიზიარეს, როგორც ხშირად ხდება ჩვენში — მხოლოდ უცხოეთში აღიარებისა და დაფასების შემდეგ რომ შეამჩნევენ ხოლმე...

ჯგუფი „ადიო“, რომლის წევრებიც არიან: ზაზა მიმინოშვილი (კომპოზიცია, გიტარა), ზურაბ გაგნიძე (ბას-გიტარა, ვოკალი), მერაბ სანოძე (დასარტყამი ინსტრუმენტი, ვოკალი), ავთანდილ უნგიაძე (ვოკალი), დავით მალაზონია (კლავიატურა, კომპოზიცია), ამ უკანასკნელმა 1991 წელს დააარსა, მაგრამ მათ შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცოდა. მუსიკოსები შესანიშნავად გრძნობდნენ, რომ მათთვის არავის ეცალა, არც ჰქონიათ ვინმეს იმედი, დაუსრულებლად მუსიცირებდნენ, დაჟინებით ეძიებდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ თავიანთი მუსიკალური იდეების გასაცოცხლებლად, საკუთარი ხელწერისა და სახის მისაგნებად.

პირველად „ადიოს“ მუსიკა მოვისმინე სპექტაკლში „ცხოვრება სიზმარია“, რომელიც ორი წლის წინათ დადგა რობერტ სტურუამ, აქვე ვიტყვით, რომ, მათვე შექმნეს მუსიკა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებისათვის: „პალატა № 6“ (რეჟისორი დავით ანდღულაძე), „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ (რეჟისორი რობერტ სტურუა).

ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შარშან რუსთაველის თეატრში გამართულმა გალა-კონცერტმა, სადაც „ადიოსთან“ ერთად მონაწილეობდნენ საუცხოო მუსიკოსები: ვახო კახიძე, დათო ევგენიძე, დათო ჯაფარიძე, ზურა რამიშვილი, პაკა კვაჭაძე, დოდიკ უზუნოვი, ზაზა მარჯანიშვილი. მათმა შემოქმედებამ ცხადად წარმოაჩინა ძალზე მდიდარი, ძლიერი და მრავალფეროვანი ჯაზური სიტუაცია. დასანანი ის არის, რომ არცერთი ამ მუსიკოსთაგანი თბილისში აღარ არის, ჩვენში რადგან არ არის მათი ამინდი — უცხოეთს მიაშურეს. „ადიო“ შარშან ნოემბერში გაემგზავრა გერმანიაში.

ამ ზაფხულს „ადიოს“ წევრები დროებით თბილისში დაბრუნდნენ. მალე მათ ისევ ელიან გერმანიაში. სასიამოვნოა, რომ ჩვენიდან ასე უჩინონი წავიდნენ, გერმანიიდან კი დიდი მუსიკოსების სახელით დაბრუნდნენ. ამას მოწმობს იქაური პრესის, კრიტიკის ფართო გამოძახილი, მე შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი ამ მასალებს, გთავაზობთ ამონაწერებს ზოგიერთი მათგანიდან:

„...ხუთი თბილისელი სტუმარი წარმოგვიდგენს რაღაც საოცრებას! სიტყვა „შერწყმა“, რომელიც აღნიშნავს როკის ძლიერი რიტმებისა და ჰარმონიის შერწყმას ჯაზის იმპროვიზაციის ტექნიკასთან, „ადიოს“ განსაზღვრისათვის მეტად ვიწროა. სიტყვა „ჯაზი“ სრულიად არ მიესადაგება ამ ანსამბლს. ის, რაც განასხვავებს, „ადიოს“ — ეს არის მუსიკა დიდი იბერიულ-კავკასიური დაძაბულობისა. „ადიოს“ მღერადი შესავალი სულგანაბული, მოკრძალებული კამერული მუსიკა არის. აქა-იქ ხმოვანების ფრთხილი დინამიკური ამაღლება გადახლართულია ხალხური მუსიკის რიტმების ცვლასთან. კონცერტს საფუძვლად უდევს ქართული ხალხური მუსიკის პოლიფონიური ხასიათი. ზაზა მიმინოშვილის მიერ გიტარაზე შესრულებული კომპოზიციები და მუსიკალური დამუშავება ელეგიურ განწყობილებას ქმნის, სავსეა ტემპერამენტიანი მოწოდებით და ერთგვარი ესპანური კოლორიტითაც კი. უმეტესად შთაგონებით, ვიდრე დისციპლინით ანსამბლის წევრები მიჰყვებიან მუსიკას. ზურაბ გაგნიძე (ბასი), დავით მალაზონია (კლავიატურა), ავთანდილ უნგიაძე (ვოკალი), მერაბ სანოძე (დასარტყამი ინსტრუმენტი) — ყველანი დიდი ინდივიდუალისტები არიან. ფარული ტემბრის მნიშვნელოვანი წყაროა მედიტაცია, როდესაც გაგნიძე და უნგიაძე ასრულებენ დუეტს, რასაც წილი უდევს ტრანსთან და მედიტაციასთან“ **(გაზეთი „დარმშტადტერ ეხო“ (11.08.1994) პაულ ჰერმან გრუნერი).**

...„რა ხდება, როცა ქართულ ხალხურ მელოდიას გაურევენ დასავლურ ჯაზს, ლათინური ამერიკის რიტმს და აქა-იქ როკის ზოგიერთ ელემენტს? შედეგი ძალიან ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მომხიბვლელობისა და მუსიკალური კეთილხმოვანების განცდა საეჭვოა გადაჭარბებული მოგეჩვენოთ. ხელოვნების ეს ქმნილება შეასრულა ქართული ჯგუფის „ადიოს“ ხუთმა მუსიკოსმა, რომლებმაც დაიპყრეს გერმანელი მაყურებელი და მსმენელი. ახლა ისინი კონცერტს მართავენ ჰაინსჰაიმის სასახლის კაპელაში... „ადიოს“ მუსიკა მართლაც ერთობ ამაღელვებელია, გრძნობით სავსე ბალადებით მუსიკოსები ქმნიან საოცნებო, საამო ატმოსფეროს — როცა განწყობით აღსავსე, სანთლებით გაშუქებულ სასახლეში ჟღერდა მომაჯადოებელი ხმები და ბგერები... ძველი ქართული პოეზიითა და ხალხური მელოდებით შთაგონებული ქართველი მუსიკოსები ამუშავებენ უმარტივეს თემებს, როგორც მიძღვნას მეგობრისადმი ან მოგზაურის ფიქრებს. მომღერალი ავთანდილ უნგიაძე თავისი ყოველი ბგერით გაახლოვებთ მშობლიურ კულტურასთან, იმდენად ნათელი და გამომსახველობით აღსავსეა მისი ხმა. იგი ხმას ისეთივე სრულყოფილებით ფლობს, როგორც ჯგუფის სხვა წევრები თავიანთ ინსტრუმენტებს... — ყოველი მათგანი თავისი საქმის ბრწყინვალე ოსტატია, მათ ერთგულად მიუძღვნეს თავი დიდ ხელოვნებას. ანსამბლში წინა პლანზეა შთაგონებული ერთობლივი შესრულება. მუსიკოსთა სახეზე და მოძრაობაში შეიძლება ამოიკითხოთ გრძნობები, რასაც განიცდიან. ისინი კი არ ასრულებენ მუსიკას, მუსიკით ცოცხლობენ“ **(გაზეთი „ჰაილბრონერ შტიმე“ (12.08.94) მარტინა ბელინი).**

... „მსგავსი რამ დიდი ხანია აღარ შეგვხვედრია ჰერენვიზის კულტურის ფორუმზე. აღფრთოვანებულმა მაყურებელმა მოახერხა ანსამბლის არა მხოლოდ მესამედ გამოყვანა სცენაზე, არამედ მცირე პაუზის შემდეგ კიდევ ერთი დაუგეგმავი გამოსვლაც. ეს იყო ჯგუფი „ადიო“, რომელსაც გერმანიაში სრულიად არ იცნობენ და რაც, ჩვენი აზრით, სულ მოკლე დროში პოპულარობით შეიცვლება.

... სახელწოდება ჯაზი ამ თვითმყოფადი მუსიკისათვის როდია ამომწურავი, რადგან მასში არის ძალიან ბევრი სტილისტური მიმართულება. ეს ჯგუფი უეჭველად დავალებულია დასავლეთის ჯაზის შეოეული სტილებისა და ისეთი ვარსკვლავებისაგან, როგორიც არიან ჯონ მაკლაფლინი, ჯო ზავინული, ჰერბი ჰენკოკი და რალფ ტაუნერი. თავის მხრივ ამ ჯგუფმა გვიჩვენა შავი და კასპიის ზღვების რეგიონის კულტურა. რაც მასში ქართული ჟღერს, განეკუთვნება არა მოძველებულს, არამედ დიდებულ მსოფლიო მუსიკას. ზაზა მიმინოშვილის შესრულებაში ცეცხლოვანი იბერიული (ესპანური) ერწყმის კავკასიურს; პერკუსიონისტმა მერაბ სანოძემ — ჯგუფის ხუმარამ „ადიოში“ შეიტანა ტრადიციული ქართული დასარტყამი ინსტრუმენტი — დოლი. ავთანდილ უნგიაძისთვის უცხო არ არის სტოკატო-სიმღერები, ესოდენ ნაზი და ქართული ხალხური პოლიფონიის საამოდ მჟღერი ბგერები. დავით მალაზონიას (კლავიატურა) თავის ინსტრუმენტზე შეუძლია ტექნიკური ოსტატობით მომხიბვლელი ხმოვანების წარმოქმნა. ის და მიმინოშვილი ქმნიან მუსიკას ჯგუფისათვის. ჯგუფში მეხუთე არის ბასისტი ზურაბ გაგნიძე, რომელსაც შეუძლია აამღეროს მსხვილი სიმები... მიუხედავად ხუთი ხელოვანის ტექნიკური ოსტატობისა, ისინი მიზნად არ ისახავენ ვარსკვლავთა წყვეტას. პირველ პლანზეა ჯგუფის შემოქმედებითი კონცეფცია: მოკრძალებით წარმოაჩინონ თითოეული მათგანის თავისებურება“ **(იოხიმ ეიერმანი, „მსოფლიო მუსიკა კავკასიიდან“).**

... „ის ვინც ეძებს არაჩვეულებრივს, სწორედ ნაღდ მისამართზე მოხვდა — „ადიო“. ზაარბრიუკენის პარტნიორი ქალაქის — თბილისის ანსამბლი საქართველოდან, ასრულებდა ჯაზურ მუსიკას. ცხადია „ადიოს“ ბევრი მუსიკალური ფესვი დასავლეთშია. გიტარისტი ზაზა მიმინოშვილი აშკარად აცხადებს თავს ჯაზის ვარსკვლავის ჯონ მაკლაფლინის მიმდევრად და მიდის მისი სწრაფი შესრულების გზით. ზოგჯერ მთელი კომპოზიცია ჟღერს თითქმის როგორც მაინსტრიმ ჯაზროკ-ჯგუფი, მაგრამ თითქოს ყოველთვის გამოსჭვიოდა საკუთარი ნოტა, რაღაც აღიზიანებდა კიდეც ცნობისმოყვარე სმენას: ეს იყო დასარტყამი ინსტრუმენტის — ქართული დოლის ჩურჩული; მას ვირტუოზულად ფლობს მერაბ სანოძე და ზურაბ გაგნიძის ბას-გიტარაზე ელეგანტურ შესრულებასთან ერთად ეს იძლევა ლათინურ-ამერიკულის მსგავს ეფექტს.

„ადიოს“ ყველა მუსიკოსმა აღფრთოვანება გამოიწვია და ხაზიც კი გადაუსვა ყველა წესს, როცა გამოიყენა ქართული დოლი. და მაინც, ჯგუფის მუსიკალური თავისებურებანი უფრო ღრმაა, მათ მივყავართ ქართულ ხალხურ მუსიკასთან. მგზნებარედ, ხორხისმიერი ტემბრით მღეროდა ავთანდილ უნგიაძე ღვთაებრივად მჟღერ მელოდიებს, რომლებიც ჯგუფმა დაამუშავა, როგორც ვირტუოზული ნომერი საგუნდო პასაჟებითა და რთული ტაქტით. სავსებით საოცარი და ორიგინალური! საღამოს ძირითადი განწყობილება იყო მედიტაცია: დავით მალაზონიას კლავიატურის ჟღერა — დაკარგული სამოთხის ძიება“... **(გაზეთი „ზაარბრიუკენ ცაიტუნგ“ (17.08.94).**

„ადიოს“ წევრები ახლა ღიმილითა და მსუბუქი ირონიით იხსენებენ თავიანთ ოდისეას, მაგრამ სანამ გაიმარჯვებდნენ, ძალიან ბევრი უსიამოვნების და დაბრკოლების დაძლევა მოუხდათ... ძლიერმა ნებისყოფამ და უფრო კი იღბალმა უშველათ. ქალაქ კარლსრუეში შემთხვევით მათთვის რომ არ მოესმინა მუსიკალურ ექსპერტს პაულ ვერლეს, დარწმუნებულნი იმაში, რომ ისინი და მათი მუსიკა აქ არავის სჭირდება, სულ მალე აპირებდნენ შინ დაბრუნებას. მაგრამ ამ პიროვნებასთან შეხვედრამ განსაზღვრა „ადიოს“ შემდგომი ბედი, დააკავშირა რა ქართული მუსიკოსები ცნობილ ჯაზურ კლუბთან, რის შემდეგაც დაიგეგმა მათი გამოსვლები, ის აღფრთოვანებული შეფასებებიც მას შემდეგ გამოჩნდა პრესაში, რომელსაც უკვე გაეცანით.

უაღრესად ღრმა და საინტერესო პიროვნებები, ნამდვილი ფილოსოფოსები არიან „ადიოს“ მუსიკოსები, მათ გარემოში ყოფნა და მათთან საუბარი სწორედ რომ ფუფუნებაა სულისათვის, საგაზეთო წერილი არ იძლევა იმის საშუალებას, გადმოგცეთ მათი ფრიად საგულისხმო აზრები და შეხედულებები ადამიანზე, მის სულიერ ცხოვრებაზე, შემოქმედების არსზე...

ხუთივე მათგანს თავის ყველაზე დიდ და უხილავ მასწავლებლად მიაჩნია ქართული ხალხური მუსიკა, ბედნიერებად თვლიან, რომ მათი თანამედროვეა ცოცხალი კლასიკოსი, კომპოზიტორი გია ყანჩელი, ღვთის მადლად მიაჩნიათ თანამშრომლობა რობერტ სტურუასთან. — მისგან ვიგებთ, თუ როგორ უნდა დაიწეროს მუსიკა... მაინტერესებდა თვით რობერტ სტურუა რას ფიქრობდა „ადიოზე“ და როცა მას მივმართე, სიამოვნებით გამიზიარა თავისი აზრი:

„— გია ყანჩელმა შემომთავაზა მათთან თანამშრომლობა. ვფიქრობ, ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები არიან, იშვიათია ქართული ხალხური მუსიკის ასე საინტერესოდ გადატანა ჯაზში ან როკ-მუსიკაში. ხშირად ეს ძალზე პრიმიტიულად ხდება, პირდაპირი ციტირებით. „ადიომ“ მოახერხა და მომავალში უფრო კარგად შეძლებს ქართული ხალხური მუსიკალური აზროვნების შერწყმას თანამედროვე მუსიკასთან. მე მოვისმინე მათი უკანასკნელი ჩანაწერი კასეტაზე, ძალიან მომეწონა. მართალია, თანამედროვე ჯაზის გავლენისაგან ისინიც არ არიან დაზღვეულნი, მაგრამ ამას ვერავინ გაექცევა. მჯერა, რომ ისინი მაინც შეძლებენ თქვან საკუთარი სიტყვა. ეს იგრძნობა თუნდაც იმაში, რომ მუდამ იცვლებიან, დროს კვალდაკვალ მიჰყვებიან.

როცა ისინი თეატრში მოვიდნენ, იმდენად იყვნენ დატვირთული თავიანთი მუსიკით, რომ იმის დროც არ ჰქონდათ თეატრი კარგად შეეცნოთ, თუმცა, რაც მათ ჩვენთვის გააკეთეს, ძალზე მნიშვნელოვანია. მათ უფრო მეტი მუშაობა სჭირდებათ თეატრში, იმედია, ჩვენი შემდგომი თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერი იქნება“.

მოუთმენლად ველოდი „ადიოს“ კონცერტს თბილისში, მაგრამ სამწუხაროდ, ამჯერად ისინი ისე წავლენ გერმანიაში, ქართველი მსმენელი მათ ვერ მოუსმენს. დამრჩა მხოლოდ ნაჩუქარი კასეტა, ხშირად ვუსმენ ხოლმე ამ მაგიურ რიტმებს, საოცრად ნაცნობსა და ახლობელს, ამასთანავე უცხოსა და სრულიად ახალს, რომელიც კარგად ავლენს „ადიოს“ შემოქმედებით გაქანებას, და ნოვატორულ მუსიკალურ აზროვნებას.

მჯერა, რომ მეტ და მეტ მსმენელს გაიჩენს „ადიოს“ იდუმალი, საკრალური, ცნობისწამლები სილამაზის მუსიკა, რადგან იგი ეძღვნება და უაღრესად სათუთად გადმოსცემს ადამიანის სულის მშვენიერებას, მის ტრაგიკულ დიდებულებას.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: „ადიოს“ გერმანული აფიშა.

დაწინაურდა „შევარდენი“

ეროვნულ ჩემპიონატში თანდათან მისასალმებელი ტენდენცია მკვიდრდება — გუნდების ნაწილს ეხსნება სტუმრად თამაშის კომპლექსი, რაშიც მეოთხე ტურის შედეგებიც დაგვარწმუნებთ: „კახეთი“-„დინამო“ (ბათუმი) 1:0, „მეტალურგი“-„დილა“ 1:1, „დინამო“ (ზუგდიდი)-„მარგვეთი“ 6:1, „საპოვნელა“-„გურია“ 0:3, „სამგურალი“-„შევარდენი“ 0:3, „დურუჯი“-„ივერია“ 2:1, „კოლხეთი“-„ტორპედო“ 3:0 (გამოუცხადებლობა). ცენტრალური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და „სამტრედიას“ შორის გადატანილია. დინამოელები უეფას თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის პირველ შეხვედრაში დღეს 19 საათზე უმასპინძლებენ ავსტრიის „ინსბრუკს“ ამ ორთაბრძოლას მოემსახურება ბელგიელ მსაჯთა ბრიგადა.

ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში 19 სექტემბერს დიდ ინტერესს იწვევს ბათუმელ და თბილისელ თანაკლუბელთა პაექრობა, რომელიც აჭარის დედაქალაქში გაიმართება.

სადღეისოდ გათამაშების სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შევარდენი“	4	3	1	0	9-3	10
„დინამო“ (ბთ)	4	3	0	1	12-2	9
„კოლხეთი“	4	3	0	1	10-4	9
„დინამო“ (თბ)	3	2	1	0	15-2	7
„სამტრედია“	3	2	1	0	9-1	7
„გურია“	4	2	1	1	8-4	7
„მეტალურგი“	4	2	1	1	6-2	7
„ტორპედო“	4	2	1	1	5-5	7
„დურუჯი“	4	2	0	2	6-14	6
„დინამო“ (ზგ)	4	1	2	1	10-8	5
„დილა“	4	1	1	2	2-5	4
„მარგვეთი“	4	1	1	2	2-10	4
„კახეთი“	4	1	0	3	1-9	3
„ივერია“	4	0	1	3	2-6	1
„სამგურალი“	4	0	1	3	3-12	1
„საპოვნელა“	4	0	0	4	1-14	0

ჩოგბურთი

ჭადრაკი

პირველი შედეგები

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დაიწყო პრედენდენტ ქალთა ტურნირი, რომელშიც 3 ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს.

პირველ ტურში დაზავდნენ ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია, ხოლო მაია ჩიბურდანიძე დამარცხდა უნგრელ ჟუჟა პოლგართან.

სანჩესი აღარ ხუმრობს

ესპანელმა არანტა სანჩესმა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ზედიზედ მეორე უდიდესი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ამჯერად მას ბადალი არ ჰყავდა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში.

ფინალში სანჩესმა სამ პარტიაში სძლია მსოფლიოს პირველ ჩოგანს გერმანელ შტეფი გრაფს 1:6, 7:6, 6:4.

ჰილი ეწევა ლიდერს

ინგლისელმა დეიმონ ჰილმა მონცას ავტოდრომზე მოიგო პროფესიონალ ავტომრბოლელთა „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის მეთორმეტე ეტაპი — „იტალიის დიდი პრიზის“ გათამაშება და საერთო ჩათვლაში თერთმეტ ქულამდე შეამცირა ჩამორჩენა შეჯიბრების ლიდერთან — გერმანელ მიხაელ შუმახერთან, რომელმაც ეს ეტაპი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

მორიგი მეცამეტე ეტაპი — „პორტუგალიის დიდი პრიზის“ გათამაშება ორი კვირის შემდეგ ესტორილის ავტოდრომზე გაიმართება.

აჯანყების საიუბილეოდ

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან შექმნილია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების (1921-24 წლებში ბოლშევიკური რუსეთის აგრესიისგან საქართველოს განთავისუფლებისათვის წარმოებული ომის) იუბილეის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფი. იგი როგორც აჯანყების მონაწილეთა შთამომავლებს, ასევე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ცალკეულ პიროვნებებს სთხოვს მიაწოდონ მასალები, წინადადებები, მოსაზრებები საქართველოს ისტორიის ამ მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.

ჯგუფის სამუშაო შეკრებები იმართება ყოველ ხუთშაბათს დღის 8 საათზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში (9 აპრილის ქ. № 2. ტელ. 99-95-50 99-95-22).

აგვისტოს აჯანყების იუბილეის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფი.

ხსოვნა

ლამარა ხართიშვილი

მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მინის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, შრომის ვეტერანი, ჟურნალ „საშენი მასალები და ნაკეთობების“ რედკოლეგიის წევრი **ლამარა სტეფანეს ასული ხართიშვილი.**

1961 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე შრომითი საქმიანობა დაიწყო საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც 33 წლის განმავლობაში განვლო ნაყოფიერი სამეცნიერო შემოქმედებითი გზა ინჟინრის თანამდებობიდან მინის ლაბორატორიის ხელმძღვანელამდე.

ლ. ხართიშვილი ფართო ჰორიზონტის მეცნიერ-მკვლევარი იყო. იგი ავტორი იყო 180 მეცნიერული შრომისა, მათ შორის 20 გამოგონებისა. მისი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება სილიკატების და, კერძოდ, მინის ტექნოლოგიის საკითხებს, რომელთა უმრავლესობა დანერგილია რესპუბლიკის წარმოებებში.

იგი გამოირჩეოდა მაღალი ორგანიზატორული და შემოქმედებითი ნიჭით, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო პრინციპული, დაუშრეტელი ენერგიის მქონე, თავის თავისადმი მომთხოვნი, სხვისადმი შემწყნარებელი და ქველმოქმედი.

ქალბატონი ლამარას, სამაგალითო პიროვნებისა და მეცნიერის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამშრომლების, მეგობრებისა და ახლობლების მეხსიერებაში.

ქ. ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ილია (ბიჭო) ნიგლაძე

ჩვენს რიგებს გამოაკლდა თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული, შესანიშნავი ადამიანი, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, გამგებლის პირველი მოადგილე **ილია (ბიჭო) შალვას ძე ნიგლაძე.**

დაიბადა 1946 წელს ქ. გურჯაანში, 1972 წელს დამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. წლების მანძილზე მუშაობდა რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავკაცად, „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველად, სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, „საქსოფლტექნიკის“ ცენტრალური აპარატის სამმართველოს უფროსად, აგროსამრეწველო სახელმწიფო კომიტეტის ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

ყველგან გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და სისპეტაკით, სიახლის გრძნობით, მუდამ მხარში ედგა თანამშრომლებსა და მეგობრებს, განსაკუთრებით ამ დიდი გაჭირვების ჟამს.

საქართველომ დაკარგა ერთგული შვილი, კეთილშობილი, ალალმართალი, სხვისი ჭირის მოზიარე, რომლისთვისაც სამშობლოს ინტერესები უპირველესი საზრუნავი იყო. წავიდა და თან გაიყოლა დიდი დარდი ოჯახზე, მეგობრებზე, ახლობლებზე.

მისი ნათელი სახე სამუდამოდ მოსაგონებლად დარჩება ოჯახის, კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

ბატონო ილია, მსუბუქი და თბილი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

გურჯაანის რაიონის გამგეობა, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო.

შალვა ფხაკაძე

გარდაიცვალა ცნობილი მათემატიკოსი და ლოგიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის მედლის ლაურეატი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შალვა სამსონის ძე ფხაკაძე.**

დაიბადა 1919 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში. 1936 წელს ზესტაფონის პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრებისთანავე სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1941 წელს. 1942-52 წლებში იგი მუშაობდა ზესტაფონის სკოლებში მასწავლებლად.

1952 წელს შ. ფხაკაძე მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1959 წელს — სადოქტორო დისერტაციები. მის სადოქტორო ნაშრომს, რომელიც ეძღვნებოდა ზომის თვისებრივ თეორიას, ოფიციალურმა ოპონენტებმა, მსოფლიო სახელის მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა პ. ნოვიკოვმა და ა. ლიაპუნოვმა უწოდეს „შრომა, რომელმაც მკვდარი წერტილიდან დაძრა ლებეგის ზომის გაგრძელებადობის პრობლემა“ და „ბრწყინვალე მოვლენა სიმრავლეთა თეორიაში“. 1966 წელს ილია ვეკუამ შ. ფხაკაძე მიიწვია თბილისის უნივერსიტეტში გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილების ხელმძღვანელად. აქ იღვაწა მან სიცოცხლის ბოლომდე, აქ იქცა იგი ქართული მათემატიკური ლოგიკის თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებლად.

შ. ფხაკაძის მეცნიერული პროდუქციაა 60-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. მან აღზარდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი.

რაოდენ დასანანია, რომ ასე უეცრად დააკლდა თავის ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს, მთელ ქართველ ინტელიგენციას, ჯერ კიდევ დიდი კონდიციების მქონე მეცნიერი, რომელიც მუდამ თვლიდა, რომ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი; საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი.

გიორგი კომლაძე



გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შრომისა და ომის ვეტერანი **გიორგი მალაქიას ძე კომლაძე.**

დაიბადა 1917 წელს, საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში. 1934 წელს დაამთავრა ჭიათურის პედაგოგიური სასწავლებელი და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1938 წელს. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო მოგვიანებით — სადოქტორო დისერტაციები.

მუშაობდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1946-1969 წლებში იყო თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასისტენტი, დოცენტი და შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. 1969 წლიდან გარდაცვალებამდე კი ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის დოცენტი, პროფესორი.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი დასახელების სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ექვსი სახელმძღვანელოა. იგი წარმატებით უთავსებდა მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც.

წავიდა ჩვენგან თავმდაბალი, უპრეტენზიო, კეთილშობილი, ალალმართალი კაცი, კარგი პედაგოგი, მეგობარი და სახელოვანი მოქალაქე, რომლის ნათელი ხსოვნაც დიდხანს დარჩება მის კოლეგებისა და სტუდენტების გულში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატი; ზოგადი მათემატიკის კათედრა.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორატი და მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა მეაბრეშუმეობის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი

გივი დომენტის ძე ჩიჩიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ალეკო ასლანიშვილი.

[illegible] 66434